

ქემალ ჯინჯიხაძე



# ეფემიანის ეხის სიწმეობა

თბილისი

2018

**ჯემალ ჯინჯისაძე**

# **აღამიანის**

**არსის**

**სიღრმეებში**

**თბილისი**

**2018**

UDK (უკ) 159 · 923

ჯ – 498

წინამდებარე წიგნში მოცემულია ავტორის საკუთარი ორიგინალური პოზიცია სამყაროსა და ადამიანის არსის ცნებათა გაგებასთან დაკავშირებით. ავტორი ქმნის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ახალ მეთოდოლოგიურ ბაზას და ამ ბაზის საფუძველზე პედაგოგიკაში ადგილს უძებნის გრძნობა-ემოციებს, ფსიქოლოგიაში ხსნის ადამიანის ფსიქიკის ცნების არსს და, არსებული დეფინიციების მოკლე კრიტიკული ანალიზის შემდეგ, იძლევა მის ორიგინალურ დეფინიციას, რომელიც ლოგიკურად ზუსტია და სრულიად თავისუფალია ორაზროვნებისა და ბუნდოვნებისგან.

წიგნი, ვიმედოვნებთ, საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის, განსაკუთრებით, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: პროფესორი **ლია სვანიძე**

რეცენზენტები: პროფესორი **იმერ ბასილაძე**

პროფესორი **კახა კოპალიანი**

©ჯემალ ჯინჯიხაძე, 2018

## ფსიქიკა

(რაობის საკითხისათვის)

ფსიქოლოგიურ და პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებში *ფსიქიკის* ცნების დეფინიციათა განსხვავებულობა, მათი კონტექსტური არაადეკვატურობა. არადა, ეს ცნება ფსიქოლოგიურ-პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ, და საერთოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათათვის ფუნდამენტალური აბსტრაქტული ცნებაა და იგი, უდავოდ, ცალსახად და ზუსტად უნდა იყოს დეფინიცირებული.

სანამ უშუალოდ ფსიქიკის ცნების დეფინიციის ფორმულირების ძიებაზე გადავიდოდეთ, პასუხი უნდა გავცეთ კითხვებს:

– გვაქვს თუ არა ფსიქიკის ცნების ზუსტი დეფინიცია დღევანდელ მეცნიერებაში?

– პასუხი ცალსახაა, – არა!

– არსებობს თუ არა ასეთი დეფინიცია სინამდვილეში, ჯერ რომ ვერ მიგვიჩნია?

– პასუხი აქაც ცალსახაა, – რა თქმა უნდა, არსებობს.

– არის თუ არა იგი მიღწევადი?

– არის, რადგანაც ნებისმიერი აბსტრაქტული ცნების ზუსტი ლოგიკური დეფინიცია მოინახება, თუკი არსებობს საამისო **მეთოდოლოგიური ბაზა**.

გავერკვეთ საკითხში უფრო დეტალურად: სადღეისოდ რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე?

**ფსიქიკა** (< ძვ. ბერძ. *ψυχή* სულიერი, ცხოვრებისეული) – რთული ცნებაა, რომელიც გამოიყენება, უპირვე-

ლეს ყოვლისა, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და მედიცინაში, ზოგადად – ყველა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

მეცნიერულ ლიტერატურაში ფსიქიკის ცნების დეფინიციის ფორმულირებათა შემდეგი ვარიანტები გვხვდება:

- **ფსიქიკა** (< ბერძ. ψυχή სული , -სუნთქვა) – იხ. ცნობიერება [1]. (ე. ი. ფსიქიკა არის ცნობიერება – ჯ. ჯ.).
- **ფსიქიკა** – (სახეები, ზოგადი და საერთო მიდრეკილებები) განსაკუთრებული რეალობა, არის სულის საკუთრება, უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას, ფუნქციონირებას, ბუნებასთან თანაარსებობას, სოციალურ და სულიერ გარემოსთან აქვს მუდმივი ურთიერთობა. ადამიანის ფსიქიკა, თავისი ინტენსიურ-გაუცნობიერებელი, ემოციონალურ-გრძნობითი, გონიერ-ჰკვიანური და ნებელობითი კომპონენტებით, მოთხოვნილებებით, მეხსიერებითა და წარმოსახვით, მეტისმეტად რთულია [3].
- **ფსიქიკა** (დ. უზნაძე) – უმაღლესად ორგანიზებული მატერიის თვისება, რომელიც სუბიექტის მიერ ობიექტური რეალობის ასახვის განსაკუთრებული ფორმაა [3].
- **ფსიქიკა** (ფსიქოლოგია) – საგნობრივ სამყაროსადმი ცოცხალი არსებების ურთიერთკავშირის უმაღლესი ფორმა, გამოხატული მათი უნარით, მოახდინონ რეალიზება თავიანთი განზრახვებისა და იმოქმედონ მათ შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. ფსიქიკა ადამიანის დონეზე იძენს თვისებრივად ახალ ხასიათს, იმდენად, რომ მისი ბიოლოგიური ბუნება გარდაიქმნება სოციოკულტურული ფაქტორებით, რის

შედეგადაც წარმოიქმნება ცხოველქმედების შინაგანი გეგმა – ცნობიერება, ხოლო ინდივიდი ხდება პიროვნება [2].

- **ფსიქიკა** – ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ასახვის შედეგი, სულიერ განცდათა ერთობლიობა [5].
- **ფსიქიკა** – ტვინის განსაკუთრებული თვისება, ფუნქცია, რაც გამოიხატება გარესამყაროს ასახვაში; ადამიანის სულიერ ძალთა, შესაძლებლობათა ერთობლიობა [4].
- **ფსიქიკა** – ადამიანური სულის ფუნქციონირების სპეციფიკური ხერხი, რომელიც ვლინდება ადამიანის სუბიექტური შინაგანი (გრძნობითი) სამყაროს მოვლენათა რთული ერთობლიობის სახით და განსაზღვრავს მისი პიროვნების ძირითად თვისებებს [11].
- **ფსიქიკა** – ადამიანის ან ცხოველის თვისება, რომელიც მას საშუალებას აძლევს, სუბიექტურად ასახოს ობიექტური რეალობის მოვლენები, რომ შეძლოს გარესამყაროსთან ურთიერთქმედება და მასში ორიენტირება [27].
- **ფსიქიკა** – მაღალორგანიზებული მატერიის სისტემური თვისება (ცხოველებისა და ადამიანების დონეზე), რომელიც მდგომარეობს პირის ან ინდივიდუუმის მიერ ობიექტური სამყაროს აქტიურ ასახვაში [15].
- **ფსიქიკა** – მაღალორგანიზებული მატერიის თვისება, რომელიც სინამდვილის ასახვის განსაკუთრე-

ბულ ფორმას წარმოადგენს; გარემოსთან ცოცხალი სისტემების სპეციფიკური ურთიერთქმედების შედეგი, სუბიექტის მიერ ემოციის დონეზე ყოფიერებისა და სამყაროს ასახვის ძირითადი ფორმა, ცნობიერების უშუალო წანამდვარი [23].

- **ფსიქიკა** – ადამიანის არსის დახვეწილი სტრუქტურა. სხვადასხვა ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებებში გაიგება სხვადასხვანაირად. ფილოსოფოსი-მატერიალისტები უარყოფენ სულის არსებობას და ფსიქიკა ესმით როგორც მაღალი ნერვული აქტივობა, რომელიც წარმოებულია ბიოლოგიური მატერიალური რეალობისგან [14].
- **ფსიქიკა** – მაღალგანვითარებული ცოცხალი არსებებისა და ადამიანის უნარი, სამყაროში ორიენტაციის მიზნით შეძლონ გარემოსთან ურთიერთქმედება ტვინში ინფორმაციის გადამუშავებისა და ქცევის მოდელების გამომუშავების გზით. ადამიანში ფსიქიკა იძენს ახალ ხარისხობრივ ფორმას – ცნობიერებას, თუმცა, ადამიანის ქცევა ბევრად განისაზღვრება გაუცნობიერებადი ფსიქიკური პროცესებით, ქვეცნობიერის ჩათვლით [21].
- **ფსიქიკა** – იმ რთული პროცესებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობასთან, მაგრამ უპირველესად – თავის ტვინის მუშაობასთან; ცხოველისა და ადამიანის ცხოველქმედების სპეციფიკური ასპექტი მათ ურთიერთქმედებაში გარემოსთან, ე. ი. ეს არის მაღალორგანიზებული მატერიის

(ტვინის უჯრედების) თვისება, ადეკვატურად რეაგირებდეს გარესამყაროს მოვლენებზე, მოცემული ორგანიზმის სასარგებლოდ. ფსიქიკის ელემენტები: შეგრძნებები, აღქმები, მეხსიერება, გრძნობები, ნებისყოფა, აზროვნებითი ანალიზი, რეაქცია [16].

- **ფსიქიკა** – ცნება, რომელიც ახასიათებს ადამიანისა და უმაღლესი ცხოველების შინაგან სამყაროს. ადამიანის ფსიქიკა განსხვავდება ცხოველის ფსიქიკისაგან სოციალური ბუნების მქონე ნიშნით სტრუქტურებით ოპერირების უნარით. ფსიქიკა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი ფორმა იმ ასახვისა, რომელიც წარმოიქმნება გარემოსთან მაღალორგანიზებული ბიოლოგიური სისტემების სპეციფიკური ურთიერთქმედების შედეგად. ფსიქიკას შეუძლია მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის გარდაქმნა, რაც ნათლად გამოიხატება ისეთ მოვლენებში, როგორიცაა: ჰიპნოზი, ჩაგონება, თვითჩაგონება. ფსიქიკის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია: სივრცით-დროით სტრუქტურებში ორიენტირება, ძველი გამოცდილების შენარჩუნება, ახლის კონსტრუირება. ფსიქიკა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცნობიერება. არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ადამიანში ყველა ფსიქიკური პროცესი ყოველ მოცემულ მომენტში ჩართულია ცნობიერებაში. მრავალი ფსიქიკური განცდა გარკვეულ დროში შეიძლება აღმოჩნდეს, ასე რომ ვთქვათ, ცნობიერების გარეთ – შეუცნობლის ფენომენები [18].

- **ფსიქიკა** – ორგანიზმის ზოგადი საქმიანობა მისი შინაგანი სამყაროს ნებისმიერ გამოვლინებაში. ფსიქიკა, როგორც კატეგორია, მნიშვნელობით ბევრად ვიწროა, ვიდრე ცნობიერება. ფსიქიკა წარმოადგენს ცნობიერების მუშაობის შედეგს. ფსიქიკა არის ბუნების ცნობიერების პროდუქტი, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანისა და ცხოველის ცნობიერების მეშვეობით აწესრიგებს უარყოფით უკუკავშირს, რის შედეგადაცაა ფსიქიკურ მოვლენათა მოქმედებები, მათგან ცალსახა და მრავალსახა ლოგიკის გამოყოფით, რაც, თავის მხრივ, რაციონალური ცხოვრების საფუძველი ხდება. ფსიქიკაზე მაღლა ყოველთვის დგას ბუნების კრიტერიალურობა, რომელიც არ წარმოადგენს თვითორგანიზაციის ბუნებრივი სისტემების შინაგან ფაქტორს. ფსიქიკა – ეს არის ბუნებრივი „განუვითარებელი ცნობიერება“, შინაგანი ცხოვრებისეული გარემო, რომელიც ემსახურება ცხოვრების ფორმების განვითარებას ირაციონალური ურთიერთობებიდან რაციონალურ ურთიერთობებამდე. ფსიქიკა ქმნის ცხოვრების ირაციონალურობის შინაგან გარემოს, რომელიც აუცილებელია ბუნებრივი ძიებითი მდგენელისათვის, აზრის რაციონალიზაციისა და გამოყოფის შინაგანი პროგრამისათვის. ფსიქიკა ნეგატიურია, თუ იგი გამოიმუშავებს ნეგატიურ მდგომარეობებს. იგი პოზიტიურია, თუ გამოიმუშავებს პოზიტიურ მდგომარეობებს. ორგანიზმის ფსიქიკა ფლობს ორგანოების, სულისა და ცნობიერების მდგომარეობებს (ნაწილობრივ) [20].

- **ფსიქიკა** – მაღალორგანიზებული მატერიის თვისება, რომელიც წარმოადგენს სუბიექტის მიერ ობიექტური რეალობის ასახვის განსაკუთრებულ ფორმას. ფსიქიკა სუბიექტის ცხოველქმედების პროდუქტია და მისი გაშუალებით ასრულებს ორიენტაციისა და მისი მართვის ფუნქციას [13].
- **ფსიქიკა** – სუბიექტის შინაგანი სამყარო (სამყარო მისი სურვილების, ემოციების, განწყობების, მიზნების, ფასეულობების, შეგრძნებების, აღქმების, აზროვნების, ხასიათის, პიროვნების ტიპის), რომელიც მისაწვდომია ემპირიული კვლევისათვის. ფსიქიკა არის ცნობიერების ყოფიერებითი (გარეგანი) პროექცია და ეს უკანასკნელი შეიძლება განხილულ იქნეს მისი თეორიული წარმოდგენის ანუ მოდელის სახით. ფსიქიკის შინაარსი ყალიბდება ორმხრივად: 1. გარემოსთან სუბიექტის ურთიერთქმედებისა და გარკვეული შემეცნებითი საშუალებების (შეგრძნებების, აღქმების, დაკვირვების, მოდელირების, განზოგადების და ა. შ.) მეშვეობით უკანასკნელისათვის შინაარსის შემდგომი მინიჭების („ინტერიორიზაციის“) ხარჯზე. 2. ყველა დონის (ქვეცნობიერი, ცნობიერი და ზევცნობიერი) სუბიექტის ცნობიერების აპრიორული სტრუქტურების კონკრეტიზაციისა და ბლოკების (კოგნიციური და ფასეულობითი) ხარჯზე [17].
- **ფსიქიკა** – ცოცხალი სისტემისა (ცოცხალი არსების) და მისი გარემოს სასიგნალო ურთიერთქმედების პროდუქტი და პირობა. უშუალოდ ადამიანისთვის

ფსიქიკა გამოდის მისი ე. წ. სუბიექტური სამყაროს ისეთი მოვლენების სახით, როგორცაა: შეგრძნებები, აღქმები, წარმოდგენები, აზრები, გრძნობები და ა. შ. [26].

- **ფსიქიკა** – სულის ფუნქციონირების სპეციფიკური ხერხი. ტრადიციულად ფსიქიკურ რეალობას უპირისპირებენ, ერთის მხრივ, ორგანიზმის ფიზიოლოგიას, რომელიც ბიოქიმიურად გაიგება, მეორეს მხრივ, სულის ცნებას, რომელიც აღიქმება, როგორც მეტაფიზიკური არსი. ფსიქიკის მეშვეობით ადამიანი აგებს გარესამყაროს სურათს, რომელშიც მოწესრიგებულია აწმყოს, წარსულისა და შესაძლო მომავლის მოვლენები, და ამ სურათის გამოყენებით არეგულირებს და ორგანიზმს უკეთებს თავის საქმიანობას. ფსიქიკა ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ თანამედროვე ფსიქოლოგია თვლის, რომ მხოლოდ ადამიანს ახასიათებს ფსიქიკის სპეციფიკური უმაღლესი სტადია – ცნობიერება. ჩვეულებრივ, ფსიქიკური ფენომენების სახით განიხილება აზრები, გრძნობები, შეგრძნებები, აღქმები, მეხსიერება, სახეები, განცდები, წარმოდგენები, გონებრივი აქტები, მოტივაციები და სურვილები და ა. შ. [24].
- **ფსიქიკა** – მაღალორგანიზებული მატერიის თვისება, რომელიც წარმოიქმნება ცხოვრების განვითარების გარკვეულ სტადიაზე და წარმოადგენს ასახვის ფორმას. ცხოველები ფლობენ ფსიქიკის ელემენტარულ ფორმას, რომელიც ექვემდებარება ბიოლოგიურ კანონებს. ფსიქიკის უმაღლესი ფორმაა ცნობიერება.

რება, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ადამიანს, წარმოადგენს საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების პროდუქტს და ექვემდებარება სოციალურ კანონებს. უშუალოდ ადამიანისათვის ფსიქიკა სუბიექტურად ვლინდება თვითდაკვირვებისათვის მისაწვდომი მოვლენების სახით: შერჩევების, აღქმების, წარმოდგენების, აზრების, გრძნობების და სხვ. ფსიქიკის ობიექტური გამოხატულება ვლინდება სხვა ადამიანებზე, მათ ნაირგვარ ქმედებებზე, მეტყველებაზე, მიმიკაზე და სხვა მისთანებზე დაკვირვების გზით. ფსიქიკის მეშვეობით ადამიანი შეიმეცნებს, ასახავს სამყაროს და ორიენტირებს მასში, არეგულირებს საკუთარ საქმიანობას [24].

- **ფსიქიკა** – ადამიანის ქცევის მართვის უმაღლესი ორგანო [30].
- **ფსიქიკა** – სუბიექტის მიერ ობიექტური რეალობის აქტიური ასახვის ფორმა, რომელიც წარმოიშობა გარესამყაროსთან მაღალორგანიზებული ცოცხალი არსებების ურთიერთქმედების პროცესში და მათ ქცევაში ასრულებს რეგულატორულ ფუნქციას [19].
- **ფსიქიკა** – ადამიანის ცნობიერი და არაცნობიერი გონების ერთობლიობა (მთლიანობა). ზოგჯერ მისი სინონიმის სახით გამოიყენება სიტყვა *სული*, განსაკუთრებით უძველეს ტექსტებში [28].
- **ფსიქიკა** – 1. ადამიანის სული, სუნთქვა ან გონება. 2. გონება, რომელიც ფუნქციონირებს როგორც აზროვნების, ემოციის, ქცევის ცენტრი და შეგნებულად თუ ქვეცნობიერად არეგულირებს ან შუამავ-

ლობს ორგანიზმის რეაგირებას სოციალურ და ფიზიკურ გარემოზე. 3. პიროვნების გონებრივი ან ფსიქოლოგიური სტრუქტურა, განსაკუთრებით, როგორც სამოტივაციო (მამოძრავებელი) ძალა [29].

უკანასკნელი ორი დეფინიცია ინგლისურენოვანი მეცნიერული ლიტერატურიდანაა.

ცალ-ცალკე მათი განხილვა და კრიტიკული ანალიზი ძალიან შორს წაგვიყვანს. ზოგადად შეიძლება აღვნიშნოთ: როგორც ზემოთ მოყვანილი დეფინიციებიდან აშკარად ჩანს, ზოგიერთი ავტორისათვის ფსიქიკა მატერიის თვისებაა, ზოგისთვის – ადამიანის თვისება, ზოგისთვის – უნარი, ზოგისთვის – ასახვის ფორმა, ასახვის შედეგი, სულიერ განცდათა ერთობლიობა, ზოგისთვის – ადამიანის მთელი შინაგანი სამყარო, ზოგისთვის – სულიერი მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობა, ზოგისთვის – ცხოვრების განვითარების შედეგი, ცოცხალ არსებათა ცხოველქმედების ფორმა, ადამიანის არსის დახვეწილი სტრუქტურა, ტვინის უნარი, ტვინის ფუნქცია, სული და გონებაც კი, სასიგნალო ურთიერთქმედების პროდუქტი და პირობა, სულის ფუნქციონირების სპეციფიკური ხერხი, ცნობიერების მუშაობის შედეგი, ადამიანის უმაღლესი ორგანო და ა. შ.

განა თვისება, უნარი, ფორმა და სხვა დანარჩენი ცნება, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ერთი და იგივეა? – არამც და არამც! ისინი სრულიად სხვადასხვა ცნებებია, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული, თუმცა, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. არც ცნობიერება და ფსიქიკაა ერთი და იგივე.

მაშ, რა არის ფსიქიკა – ფორმა, უნარი, თვისება, სტრუქტურა, სულის ფუნქციონირების სპეციფიკური ხერხი, ცნობიერების მუშაობის შედეგი, პროცესებისა და მოვლენების ერთობლიობა თუ სხვა რამ?

ფსიქიკა არც ერთი მათგანი არ არის! თვისება თვისებაა და არა ფსიქიკა, უნარი უნარია, ფორმა ფორმაა, სტრუქტურა სტრუქტურაა და ა. შ. ფსიქიკა ის არის, რაც მათ საფუძველს წარმოადგენს. ფსიქიკა პირველადაა, ყველა დანარჩენი: თვისებები, უნარები, გრძნობები, განცდები, აზროვნება და უამრავი სხვა – ემყარება ფსიქიკას, მისითაა განპირობებული. მაშასადამე, ზემოთ მოცემული განსაზღვრებიდან არც ერთი არ არის განსაზღვრა, ისინი მხოლოდ აღწერითი დებულებებია და თანაც – არასწორი. ისინი, როგორც აშკარად ჩანს, ურთიერთწინააღმდეგობრივია და თუნდაც ამიტომ არ შეიძლება სწორი იყოს.

ეს უდავოდ ასეა! ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს ჩვენ ფსიქიკის ზუსტი დეფინიცია არა გვაქვს! უფრო სწორად, საერთოდ არა გვაქვს ფსიქიკის დეფინიცია. რაც გვაქვს, ის ფსიქიკის დეფინიცია არ არის!

მაშ, რა არის ფსიქიკა? როგორია მისი განსაზღვრა? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მივაკვლიოთ!

მსოფლიო მეცნიერულ ლიტერატურაში ფსიქიკის განსაზღვრის (დეფინიცირების) პრობლემა საუკუნეზე მეტი ხანია დგას. ამ თემაზე მეოცე საუკუნის დასაწყისის პირველი მეთოდოლოგიური ტექსტები უკვე მეტყველებენ ასეთი განსაზღვრის პრინციპიალურ შეუძლებლობაზე (ვასილიევი, გილიაროვი და სხვ.). შემდგომი მეცნიერები (ჩელპანოვი, დობრინინი, რუბინშტეინი, ვიგოტსკი, ლეონტიევი და სხვ.)

ფსიქიკის ცნების დეფინიციას არ იძლევიან და ცდილობენ ამ ცნების აღწერას. ფსიქიკის ცნების თანამედროვე გაგება მათ შრომებში ჩამოყალიბდა. ასეთივე მდგომარეობაა ფსიქოლოგიის თანამედროვე სახელმძღვანელოებშიც. ამ მიების პროცესში მეცნიერები თანდათანობით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფსიქიკის დეფინიცია მეთოდოლოგიური პრობლემაა.

დაისვა საკითხი: როგორია დეფინიციის იდეალი? რა არის საკვლევი საგნის დეფინიცირების მიზანი?

ამ საკითხის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ლოგიკაში ცნების დეფინიციის სახეებისა და ფორმების შესწავლისადმი მიდგომა იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი. თუმცა, არსებობდა სხვადასხვა ავტორის მიერ ცალკეული დეფინიციების აღწერა.

დეფინიციები არსებობს:

- *ოსტენსიური* (მიმთითებელი, „აი, ეს“. ხდება საგნის დემონსტრირება და შემდეგ შეისწავლება იგი),
- *დესკრიფციული ანუ დესკრიფციულ-ჩამოთვლითი* („შედგება ამისგან“, ჩამოთვლილია და აღწერილია ცნების კომპონენტები),
- *ფუნქციონალური* (მთავარი ფუნქციის მეშვეობით, „იმისათვის, რომ“. მითითებულია ცნების მთავარი ფუნქცია),
- *გვარობით-სახეობით კონსტრუქციაში* (სახელდება ცნების გვარი და მას ემატება სახეობითი განსხვავება, ნიშანი).
- და სხვ.

გვარობით-სახეობითი იპყრობს ყურადღებას.

მეოცე საუკუნის დასაწყისის მეცნიერულ ტექსტებში ჩვენ გვაქვს ფსიქიკის ოსტენსიური განსაზღვრები (დეფინიციები). ოციან წლებში დესკრიფციული განსაზღვრებაც გაჩნდა (ასეთ განსაზღვრებში ფსიქიკის კომპონენტების ჩამონათვალი (მიღებულ ტერმინებში) უკვე არის, მაგრამ ეს კომპონენტები დეფინიციაში ჩართული არ არის). განსაზღვრა ასახვის მეშვეობით უკვე ფუნქციონალური დეფინიციაა. 1980-იანი წლების ლექსიკონებში ჭარბობს ფუნქციონალური დეფინიციები, მაგრამ ამით დეფინიციები მხოლოდ შეივსო, ისინი ხარისხობრივად არ შეცვლილა. გვარობით-სახეობითი დეფინიციის შექმნის გზების ძიება შემდეგაც გრძელდება.

პიაჟეს გენეტიკურმა ეპისტემოლოგიამ [21] ექსპერიმენტულად გამოავლინა და აღნიშნა ის „ინტელექტუალური ოპერაცია“ (მის ტერმინოლოგიაში), რომელიც მოწმობს, რომ ბავშვი აღწევს აზროვნების განვითარების ოპერაციონალურ სტადიას – იმ უნარს, რომ შექმნას და გააცნობიეროს გვარობით-სახეობითი მიმართებები. ეს სტადია ცნებით აზროვნებად იწოდება. ამ მიღწევას მოწმობს ბავშვის უნარი, განაზოგადოს ორი ობიექტი (მაგალითად, ბურთი და თოჯინა) გვარობით ჯგუფში (სათამაშო) და ყოველ ობიექტს მისცეს სახეობითი სპეციფიკა (აღწეროს ისინი). საბჭოთა და ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლევ ვეკერმა [12] აზრის სრულყოფილი ფორმის სახით გამოყო გვარობით-სახეობითი კონსტრუქცია (დონობრივ-იერარქიული სტრუქტურა), როგორც სუკცესიური აზროვნებითი პროცესის სიმულტანური შედეგი. ეს იდეა დაასაბუთა როგორც თავისი ექსპერიმენტული კვლევით, ისე პიაჟეს შრომებით. ვეკერმა და მისმა

სკოლამ შეისწავლა ფსიქიკური მოვლენები როგორც ნერვული აქტივობის კერძო ფორმა. ამასთან, მხედველობაში ჰქონდათ, რომ ნერვული აქტივობის კანონები ქვემოდან ზემოთ ვრცელდება ფსიქიკურზე, მაგრამ ნერვული სისტემით გენერირებულ ფსიქიკას თავისი სპეციფიკური კანონებიც გააჩნია.

ამის შემდეგ ფსიქოლოგიაში გაჩნდა იდეა, რომ ფსიქიკის დეფინიცია უმჯობესია, აიგოს გვარობით-სახეობითი პრინციპით.

2005 წელს პეტერბურგელმა ფსიქოლოგმა ნ. ვ. ბელომესტნოვამ სცადა, შეემუშავებინა ფსიქიკის სრულყოფილი დეფინიცია, რომელიც აგებული იქნებოდა გვარობით-სახეობით პრინციპზე. ბელომესტნოვამ ფსიქიკა ჩართო ორგანიზმის რეგულატორული სისტემების სიაში და ააგო ამ სისტემების ურთიერთმიმართების გენეტიკურ-იერარქიული სტრუქტურა. ამ საფუძველზე მან შეადგინა შემდეგი დეფინიცია:

**ფსიქიკა** – ორგანიზმის ერთ-ერთი რეგულატორული სისტემა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს გარეგანი და შინაგანი გარემოს თვისებათა ასახვისა და გარეგან გარემოსთან მატრანსფორმირებელი ურთიერთქმედების მეშვეობით [10].

ამ დეფინიციაში „ორგანიზმის რეგულატორული სისტემა“ გვარია, ხოლო „ფსიქიკა“ – სახე. გვარობით-სახეობითი დეფინიცია აგებულია, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ფსიქიკა არ შეიძლება სახე იყოს. ფსიქიკა ვერ დაემყარება სხვა ცნებას, ისევ ფსიქიკურს, იგი პირველადია და გვარობით-სახეობითი მიდგომა აქ არ გამოდგება. მით უმე-

ტეს, რომ ორგანიზმის ნებისმიერი რეგულატორული სისტემა განპირობებულია ფსიქიკით და არა პირიქით.

მამასადამე, ფსიქოლოგების მიერ შექმნილი თეორიები ფსიქიკის ცნების დეფინიციის აგების მეთოდოლოგიური ბაზისათვის საკმარისი არ არის.

გთავაზობთ ჩვენეულ, ახალ კონცეფციას, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შინაარსითა და მოცულობით გამოქვეყნებული გვქონდა ჩვენს შრომებში: [6], [7], [8], [9]:

სახელმძღვანელოდ მივიღოთ ორი ბიბლიური დებულება:

1. ღმერთმა ჯერ შექმნა დიდი (უხილავი) სამყარო, რომელიც დაასახლა ანგელოზებით. მერე შექმნა მცირე (ხილული) სამყარო, რომელიც დაასახლა ადამიანებით [იობ. 38,7; კოლ. 1,16].
2. ღმერთმა მსგავსად და ხატად თავისა შექმნა ადამიანი [შესაქ. 1,26-27].

ეს დებულებები a priori იმიტომ მივიღეთ, რომ ისინი აბსოლუტურად შეესაბამება რეალურ სინამდვილეს და მეცნიერება უძლურია ისეთი საკითხების ახსნაში, როგორცაა კოსმოსისა და მასში ადამიანის არსებობა, მათი გაჩენის არსი. უკვე ათასწლეულებია იგი დამოუკიდებლად ეძებს პასუხს ამ კითხვებზე, მაგრამ ამაოდ. ვერც ვერასოდეს იპოვის იგი ამ პასუხს, რადგანაც ეს სცილდება მის კომპეტენციას.


ჩვენ, მიღებულ დებულებათა საფუძველზე, ჩამოვყალიბეთ ფსიქოლოგიის (და საერთოდ – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) მეთოდოლოგიური ბაზა:

უფალმა ჯერ დიდი სამყარო შექმნა ანგელოზებისათვის, შემდეგ კი – მცირე სამყარო, ადამიანებთათვის.

და წარმოიქმნა კოსმოსური არსი...

ეს დიდი და მცირე სამყაროები არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებულნი. მათ თანაკვეთა გააჩნიათ. და ამ თანაკვეთაში ხვდებიან ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი დიდბუნებოვნებით, თავიანთი ღვთაებრივი მოწოდებით ანგელოზების რანგში არიან აღზევებულნი. ეს – მსოფლიოს ყველა დროისა და ყველა ხალხის წმინდანები გახლავთ. მათი სახელები უხვადაა გაბნეული მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში: ანტონი დიდი, პაისი დიდი, პიმენ დიდი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, გიორგი მთაწმინდელი, იოვანე და გიორგი ჭყონდიდელები, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, პეტრე იბერი, ტბელი აბუსერისძე, ამბროსი კათალიკოსი, ექვთიმე თაყაიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ბარლამ კრეტელი, დიმიტრი თესალონიკელი, ღირსი ონოფრე, დედა ტერეზა, დიმიტრი დონელი, მიხეილ ტვერელი, ვლადიმირ დიდი, წმინდა შუშანიკი და სხვა უამრავი.

დიდი სამყაროს, მცირე სამყაროსა და წმინდანთა ურთიერთმიმართება ეილერ-ვენის შემდეგ დიაგრამაზე გამოსახული (ნახ. 1):



ნახ. 1  
18

ადამიანი შექმნა „მსგავსად და ხატად თავისა“. ამიტომ ადამიანის არსებას, მის სუბსტანციას, კოსმოსური არსის ანალოგიით, მიანიჭა დიდი და მცირე სამყარო: დიდი სამყარო – **გული** და მცირე სამყარო – **ტვინი, გონება**. გულს დაანათლა ღვთაებრივი უნარი *იმედის, რწმენისა და სიყვარულის*, გონებას კი – უნარი *მსჯელობის, მტკიცების, ეჭვების*.

იმედში, რწმენასა და სიყვარულში ლოგიკა არ არის. ლოგიკა გონებაში სუფევს მხოლოდ, რადგან ატრიბუტია მისი.

ყოველგვარი შემეცნება, ცხოვრებისეული თუ მეცნიერული, ადამიანის დიდ სამყაროში იწყება. დიდი სამყარო გრძნობს ყოველივეს და ცხოველმყოფელ იდუმალ ენერგიას აწვდის მცირე სამყაროს. თვითონ უდიადესია და საზრდოობს უშრეტეი კოსმოსური ენერგიით.

კითხვა „რატომ?“ მცირე სამყაროს კუთვნილებს. ეს კითხვა გონების საუფლოში დაისმის. ლოგიკა მხოლოდ ამ კითხვის დასმის შემდეგ არსებობს.

გენიოსები ლოგიკის შესახებ წერენ:

**ალბერტ აინშტაინი** – *„აღმოჩენა არ წარმოადგენს ლოგიკური აზროვნების საქმეს მაშინაც კი, როცა საბოლოო შედეგი დაკავშირებულია ლოგიკურ ფორმასთან“.*

**ვლადიმირ სტეკლოვი** – *„ლოგიკის დახმარებით ვერავინ ვერაფერს ვერ აღმოაჩენს“.*

**ჟიულ ანრი პუანკარე** – *„ლოგიკის მეშვეობით ამტკიცებენ, ინტუიციის მეშვეობით (გამო)იგონებენ“.*

მსგავსი გამონათქვამები უამრავია...

მაშ, რის მეშვეობით ხდება აღმოჩენები, თუ არა ლოგიკის?

ყურადღებას იპყრობს *პუანკარეს* სიტყვები, ზემოთ რომ მოვიყვანეთ: „ინტუიციის მეშვეობით...“

**რა არის ინტუიცია?**

გენიოსები ინტუიციის შესახებ წერენ:

**ალბერტ აინშტაინი** – *„ინტუიცია უმაღლესი მუსიკა-ლობაა აზრის საუფლოში“.*

**ანრი ბერგსონი** – *„რეალობა შეიმეცნება მხოლოდ ინტუიციით“.*

**იმანუელ კანტი** – *„მათემატიკა ემყარება წმინდა ინტუიციას და არა გონებას“.*

**რიხარდ კურანტი** – *„ინტუიცია, ეს შეუმჩნეველი ცხოვრებისეული ელემენტი, ყოველთვის ახლავს შემოქმედებით მათემატიკას, აბსტრაქტულ აზროვნებასაც კი“.*

კიდევ შეიძლება განვაგრძოთ, გამონათქვამები უამრავია.

ადამიანი ძალიან დიდი ხანია, ეძებს პასუხს კითხვაზე: რა არის ინტუიცია? ეძებს იმიტომ, რომ ხედავს, არსებობს იგი, უბრალოდ კი არ არსებობს, – დიადია და უკიდეგანო, საოცრად აღზევებულია და ძლევამოსილი, იდუმალია და ყოვლისმომცველი...

ინტუიცია ლათინური სიტყვაა *intuitio* და ჭვრეტას ნიშნავს. ჩვენში რუსული ენის მეშვეობით შემოვიდა. ერთ ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: *„მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა, უშუალო, სტიქიური გრძნობა, რომელიც ემყარება ადრინდელ გამოცდილებას; ალღო“.* მეორეში კი ასე: *„1. მიხვედრის, გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი. ალ-“*

დო. 2. სინამდვილის უშუალო წვდომა (ცდისა და ლოგიკური დასკვნის გარეშე)“. მესამეში – „შეკვეცილი, ლოგიკურად დაუმუშავებელი გადაწყვეტილების უნარი; რთულ სიტუაციებში სწორი ორიენტაციის უნარი. წარსული ცდის შედეგი“. მეოთხეში – „უშუალო ინტელექტუალური ცოდნის ფორმა“. მეხუთეში – „გონებით ჭეშმარიტების პირდაპირი წვდომა, რომელიც არაა გამოყვანილი სხვა ჭეშმარიტებიდან ლოგიკური ანალიზით და არ აღიქმება გრძნობის ორგანოებით“. მეექვსეში – „შემეცნების ხედვა, განსაკუთრებული უნარი, რომელიც ცდისა და ლოგიკური აზროვნებისაგან დამოუკიდებლად, უშუალოდ წვდება ჭეშმარიტებას. იგი არის ისეთი ხედვა, რომელიც არ მოითხოვს შემდგომ დაფუძნებას. არსებობს ინტუიციის სხვადასხვა ფორმები: გრძნობადი, ინტელექტუალური, ემოციონალური და მისტიკური. გრძნობადი ინტუიცია გრძნობად კონკრეტულ სინამდვილეს ეხება, ინტელექტუალური ინტუიცია – ზოგად ცნებებს, ემოციონალური ინტუიცია – სუბიექტურ განცდებს, ხოლო მისტიკური ინტუიცია – ღმერთების შემეცნებას ახორციელებს“.

სხვა განსაზღვრებაც არსებობს.

ინტუაციის არსის ძიებაში წარმოიშვა ურთულესი მიმდინარეობები – ინტუიტივიზმი და ინტუიციონიზმი. დაუცხრომელ კამათში ჩაება მსოფლიოს ყველა მეცნიერი. კამათი ჯერ არ დამცხრალა. ყველა აშკარად გრძნობს და ხედავს, რომ ინტუიცია რაღაც დიდებულია და ბრწყინვალე, მაგრამ მისი არსება ჯერ კიდევ იდუმალეებითაა მოცული.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კარგად არა გვაქვს გაცნობიერებული ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანის მთელი არსი, მისი სუბსტანცია მისივე დიდი და მცირე სამყაროების ჰარმონიული ერთიანობაა. ჩვენ ყველაფერს გონებაში ვეძებთ, მხოლოდ გონებაში, და ამიტომ ხშირად ხელმოცარული ვბრუნდებით უკან.

ღმერთმა ადამიანის დიდ და მცირე სამყაროებს, როგორც აღვნიშნეთ, მიანიჭა ღვთაებრივი უნარი: დიდ სამყაროს – იმედის, რწმენისა და სიყვარულის, მცირე სამყაროს – მსჯელობის, მტკიცებისაკენ სწრაფვისა და ეჭვების. ამასთან ერთად, მან ამ სამყაროებს მიწიერი ფუნქციაც დააკისრა.

**გული**, თავისი მიწიერი ფუნქციის თანახმად, უზრუნველყოფს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევას; ეს კი, თავის მხრივ, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას; ამ დროს ორგანიზმში თანდათანობით ყალიბდება ურთულესი კანონზომიერებებით მოწესრიგებული უჯრედული ბიოქიმიური ცვლილებებისა და გარდაქმნების მთელი სამყარო, რომელიც კოსმოსური ენერჯის ველში ექცევა და იმართება მისით. ეს სამყარო სუნთქავს ერთიანი ორგანიზმის, ცალკეული ორგანოების, ქსოვილების, უჯრედებისა თუ სუბუჯრედული სტრუქტურების ფრიად მოწესრიგებული რიტმებით. ასეთი სამყარო ნებისმიერ ადამიანს გააჩნია და იგი სრულიად თავისებურია, ინდივიდუალური. ადამიანთა ასეთი სამყაროები ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ასეთ პირობებში აღმოცენდება სიყვარულისა და სხვა გრძნობა ადამიანთა შორის. ამავდროულად, გარესამყაროს იონები მართავენ ადამიანის ფი-

ქრებსა და გრძნობებს, მის ქცევას, მის აზროვნებას. და ამ მართვის შედეგის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული ადამიანის მცირე და დიდი სამყაროების ურთიერთმიმართების ხარისხზე.

გულის ნეირონულ სისტემას მოკლევადიანი და გრძელვადიანი მეხსიერებები გააჩნია და იგი ტვინს მუდმივად აწვდის ინფორმაციას. სწორედ ამ ინფორმაციით იქმნება ადამიანის ემოციური გამოცდილება. სხვა სიტყვებით, გულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ტვინში იქმნება გარკვეული ბაზა, რომელიც სრულად განსაზღვრავს ადამიანის რეაქციებსა და განწყობილებებს.

**ტვინი**, მასში არსებული ასი მილიარდი ნეირონით, თავისი მიწიერი ფუნქციის თანახმად, არეგულირებს ადამიანის ორგანიზმისა და ცნობიერების ნებისმიერ რეაქციას გარესამყაროსადმი.

ამასთან, გამოიყოფა ტვინის სამი უმნიშვნელოვანესი ბლოკი.

**პირველი**, „ტონუსის ენერგეტიკული ბლოკი“, განთავსებულია ტვინის სიღრმეში, ტვინის ღეროს ზედა ფენებში. ამ ბლოკის ერთ ნაწილში წარმოებს ორგანიზმში ნივთიერებათა ქიმიური ცვლის რეგულაცია. მეორე, ბადისებრ ანუ რეტიკულარულ ნაწილში, აღმოცენდება აგზნების იმპულსები, რომლებიც თავიანთი ენერგიით კვებავენ ტვინის ქერქს. როგორც კი ეს ენერგეტიკული ნაკადი შეწყდება, მაშინვე ტვინის ქერქის ტონუსი ეცემა და ადამიანი ვარდება ნახევრადძილის მდგომარეობაში, შემდეგ ეძლევა ძილს.

**მეორე** ძირითადი ბლოკი განთავსებულია დიდი ნახევარსფეროების უკანა ნაწილში და მას ევალუბა გარესამყაროდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და შენახვა.

**მესამე**, მთავარი ბლოკი, რომელიც ინახავს ადამიანის პიროვნებას, განთავსებულია შუბლის მიდამოებში.

არის **მეოთხეც**, ეს არის **ამიგდალა**. იგი ნუშისებრი სხეულია, გაჟღენთილია ნეირონებით, დაახლოებით ორნახევარი სანტიმეტრი ზომისაა, განთავსებულია ტვინის ორივე ნახევარსფეროში, – ყურის ყვრიმალის მიდამოებში და არეგულირებს ემოციებს. ამიგდალა ემოციონალურ მეხსიერებასთან დაკავშირებული ძირითადი კომპონენტია.

ადამიანის დიდი და მცირე სამყაროების ჰარმონიული ერთიანობის ამ იერარქიაში მას ექმნება საკუთარი კოსმოპოლოგიური ველი, რომელიც კოსმოსური ენერგითაა დამუხტული და ადამიანი სამყაროს სრულიად ბუნებრივად შეიმეცნებს. ამ შემეცნების ხარისხი დამოკიდებულია ადამიანის შიდარიტმებისა და გარეერიტმების თანხვდენილობის ხარისხზე.

ჩვენ ამას არ ვითვალისწინებთ.


ჩვენ არ ვითვალისწინებთ იმას, რომ შემეცნების პროცესი მხოლოდ მაშინ მიმდინარეობს ბუნებრივად, წარმატებულად და აღზევებულად, როცა მასში ჩართულია ადამიანის დიდი და მცირე სამყაროების ერთიანობის მშვენიერება და ჰარმონიულობა. უფრო ზუსტად: როცა შემეცნების პროცესი ამ მშვენიერებისა და ჰარმონიულობის წილში მიმდინარეობს.

ჩვენ კი მხოლოდ გონებაში ვატენით მოზარდებს მათემატიკას, ქიმიას, სხვადასხვა ენებს...

მხოლოდ გონებაში ვეძებთ პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომელიც იმავე გონებაში გვებადება. ინტუიციასაც გონებაში ვეძებთ.

საქმე კი სინამდვილეში სულ მარტივადაა. ადამიანის დიდი და მცირე სამყაროები, როგორც კოსმოსური არსის შემთხვევაში, არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებულნი. მათ თანაკვეთა გააჩნიათ.

ამიტომ აქაც ეილერ-ვენის ისეთივე დიაგრამებს მოვიშველიებ (ნახ 2).



ნახ. 2

აი, რა არის ინტუიცია!

**ინტუიცია** უნარია, დვთაებრივი უნარი, რომელსაც ადამიანის დიდი და მცირე სამყაროების თანაკვეთა წარმოქმნის.

ეს დიდი და მცირე სამყაროების აქტიური ურთიერთ-ზემოქმედების ზონაა, ინტერფერირებული, ახალ ხარისხში აღზევებული.

ეს – გულის კარნახია, ორიენტირებული გონებაზე. ეს – შინაგანი ხმაა, რომელსაც ჩვენ ასე ვენდობით!

ეილერ-ვენის დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ ადამიანის დიდი და მცირე სამყაროების გაერთიანება იყოფა სამ არედ:  $A$ ,  $B$  და  $C$ .  $C$  არე შეიცავს წერტილ-ორეულებს, რომელთაგან ყოველი ორეულის პირველი წერტილი ეკუთვნის  $A$ -ს და დიდი სამყაროს თვისებებს ატარებს, ხოლო მეორე წერტილი ეკუთვნის  $B$ -ს და მცირე სამყაროს თვისებებს ატარებს. ჯამში წერტილ-ორეულები ორმაგ თვისებებს, მათი ურთიერთზემოქმედების შედეგად, გარდასახავენ საკუთრივ, სრულიად განსაკუთრებულ თვისებაში და  $C$  არე წარმოგვიდგება ცალკე სამყაროდ, სრულიად განსხვავებულად და ახალი ხარისხის მატარებლად. სწორედ ესაა **ინტუიცია**.  $C$  არეში ნათდება გონება, დომინირებს **ინსაიტი**. ყოველგვარი იდეა, მიგნება, ჰიპოთეზა იზადება  $C$ -ს წერტილ-ორეულის პირველ წერტილში, მისგან გარდაისახება მის მეორე წერტილში, ახალ ხარისხში ამაღლდება და იწყებს მოძრაობას მცირე სამყაროს სიღრმისაკენ, რომ იქ მონახოს დასაბუთება, არგუმენტაცია.

დიდი და მცირე სამყაროების ერთიანობის წყალობით ადამიანის მიერ საგნებსა და მოვლენებში განხორციელდება სულიერების ჭვრეტა და მისთვის უკვე ფორმა და შინაარსი განუყოფელი იქნება; აბსტრაქტულ ცნებებში, და ყველგან სხვაგანაც, მათი განმცხადებელი ზენაარსი გაიხსნება და ასეთ პირობებში არც ერთი მეცნიერება, მათ შორის უმკაცრესი მათემატიკაც კი, არ იქნება დაცლილი სულიერებისგან, მშვენიერებისგან, ღვთაებრივი ჰარმონიულობისგან. ნათელი იქნება, რომ ღმერთი თავისთავად განცხადებულია

ყველა საგანში, ყველა მოვლენაში, ყველა სუფევაში ... , მატერიალურშიც და იდეალურშიც ...

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ეძლევა ადამიანს მეცნიერულ შემეცნებაში ინტუიციური ნათელხილვების წყალობა.


აქვე ისმის მეორე, უმნიშვნელოვანესი საკითხიც: **რას არის ფსიქიკა?** ამ ცნების განსაზღვრისას ყველა ავტორი თავისებურ გამოსავალს ეძებს. ზოგი ფილოსოფიურ მსჯელობებს ექვემდებარება და ფსიქიკას სულთანაც კი აიგივებს. ასეთ შემთხვევაში ფსიქიკის ცნების განსაზღვრის მიუხედავად, ჩვენი აზრით, უსასრულობაში მიმავალი უიმედო გზაა. სინამდვილეში საქმე სულ მარტივადაა: *ადამიანის ფსიქიკას არის მისი დიდი და მცირე სამყაროების ურთიერთზემოქმედების ჰარმონიულობის ხარისხი*. შეიძლება რანგიც ვუწოდოთ და *კატეგორიაც*. სწორედ ეს რანგი განაპირობებს **ქცევას**. თუ ჩავუღრმავდებით საკითხს, – ეს მართლაც ასეა.

ახლა, სქემის (ნახ. 3) მიხედვით, თვალსაჩინოდ შეგვიძლია ავხსნათ, თუ რატომ არ არის საკმარისი ფსიქოლოგების ფუნდამენტალური კვლევები ფსიქიკის დეფინიციის მეთოდოლოგიური ბაზისათვის.

როგორც სქემიდან ჩანს (ნახ. 3):

1. ადამიანის არსი შედგება ორი სამყაროსაგან: დიდი სამყარო – გული და მცირე სამყარო – ტვინი,
2. გულს მინიჭებული აქვს ღვთაებრივი უნარები: იმედის, რწმენისა და სიყვარულის, ასევე, – მიწიერი ფუნქციები: სისხლის მიმოქცევის უზრუნველყოფა და სხვ. ტვინს მინიჭებული აქვს ღვთაებრივი უნარები: მსჯელობის, მტკიცებისაკენ სწრაფვისა და ეჭვების, ასევე, – მიწიერი ფუნქციები: არეგულიროს

ადამიანის ორგანიზმისა და ცნობიერების ნებისმიერ რეაქცია გარესამყაროსადმი და სხვ.



ნახ. 3

3. ეს უნარები და ფუნქციები, ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის დროს, ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ქმნიან გარკვეულ ურთიერთჰარმონიულობას. ეს

ურთიერთჰარმონიულობა ყოველი ასაკისათვის ბუნებრივად მარკირებული ხარისხით ხასიათდება.

4. სწორედ ეს ხარისხია ფსიქიკა.
5. ფსიქიკა განაპირობებს ადამიანის შინაგანი სამყაროს პარამეტრებს: ქცევას, თვისებებს, უნარებს, გრძნობებს, განცდებს, აზროვნებას და სხვა ფსიქიკურ მოვლენებსა და პროცესებს.
6. ფსიქიკის მიერ განპირობებული პარამეტრების სიმრავლეში (ერთობლიობაში) წარმოებს მეცნიერული კვლევები, რომელთა შედეგები შეიძლება შეადგენდეს მეთოდოლოგიურ ბაზას შემდგომი კვლევებისათვის, მაგრამ არა ფსიქიკის დეფინიციისათვის, რადგან ფსიქიკა მისი წინამორბედაა. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ გავრცელებულია საყოველთაოდ ცნობილი აზრი: „ადამიანის ფსიქიკა სამყაროში ერთ-ერთი ამოუხსნელი გამოცანაა და მეცნიერული კვლევისთვის ფსიქიკა მიუწვდომელი ობიექტია, ამიტომ ხელშესახები რჩება ქცევის აღწერა, ახსნა, წინასწარტყვევლება და გაკონტროლება“ [3].

როგორც აშკარად ჩანს, მეცნიერები ფსიქიკის დეფინიციას ეძებენ იქ, სადაც ის არ არის. ამიტომ ძიება უშედეგოა.

როგორც ვიცით, შემეცნების სახეებია:

1. *გრძნობითი,*
2. *რაციონალური,*
3. *ინტუიციური.*

**გრძნობითი შემეცნების პროცესში დომინანტია ადამიანის დიდი სამყარო – გული; და, თუ დიდი სამყარო თან-**

ხმობაშია მცირე სამყაროსთან, მაშინ გრძნობითი შემეცნების სამივე ეტაპობრივი ფორმა:

- შეგრძნება,
- აღქმა,
- წარმოდგენა

სრულიად ბუნებრივ და ფრიად აღზევებულ პირობებში მიმდინარეობს. საერთოდაც, დიდ სამყაროში წარმოქმნილ გრძნობებსა და ემოციებს მცირე სამყაროს კონტროლი სჭირდება.

**რაციონალური შემეცნების პროცესში** დომინანტია ადამიანის მცირე სამყარო – გონება; და, თუ მცირე სამყარო თანხმობაშია დიდ სამყაროსთან, მაშინ რაციონალური შემეცნების სამივე ფორმა:

- ცნება,
- მსჯელობა
- დასკვნა

სრულიად ბუნებრივად და ფრიად აღზევებულად ვითარდება. საერთოდაც, მცირე სამყაროში წარმოქმნილ მტკიცებებსა და არგუმენტირებებს გრძნობები და ემოციები სულიერებას მატებს და შემეცნების პროცესი ფრიად აღზევებულად მიმდინარეობს.

**ინტუიციური შემეცნების პროცესში** მიიღწევა წვდომა რეალობის ისეთ შინაარსში, რომელიც ადამიანურ გამოცდილებაში მოცემული არ არის. ასეთებია: **აბსოლუტური, უსასრულო, მარადიული, ღვთაებრივი** და სხვ. ე. ი. ინტუიციური შემეცნება **იდეებში** წვდომას გულისხმობს, და სამყაროს იდეალური შემეცნება გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ცნებითი, თუმცა, ძნელადაა გამოხატულებადი. იდე-

ალური ცოდნისა და მისი გამოხატულების ფორმებია: *პოეზია, ხელოვნება, რელიგია, მეცნიერების სილამაზე და მშვენიერება.*

ინტუიციური შემეცნების პროცესში თანაბრადლომინანტურია ადამიანის ორივე სამყარო – დიდი და მცირე. ამ სამყაროთა თანაკვეთაში მათი ჰარმონიულობის რანგი ღვთაებრივ სიმაღლეს აღწევს.

ახლა უკვე შეგვიძლია დავახასიათოთ ფსიქიკის ცნება:

**ფსიქიკა** (< *ძვ. ბერძ. ψυχή* სულიერი, ცხოვრებისეული) – ტერმინი აღნიშნავს რთულ ცნებას, რომელიც გამოიყენება ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში და მედიცინაში. ეს არის ადამიანის გონებისა და გულის ურთიერთჰარმონიულობის ხარისხი (რანგი). და სწორედ ეს რანგი განაპირობებს ქცევას. უფრო კონკრეტულად, ქცევას განაპირობებს: *გონების მხრივ* – ადამიანის ცოდნა, გამოცდილება და აზროვნება, *გულის მხრივ* – გრძნობები, განცდები და ემოციები, ხოლო *ორივეს მხრივ ერთდროულად* – განწყობები და ინტუიცია. მათი ურთიერთჰარმონიულობის წყალობით მიმდინარეობს ფსიქიკური პროცესები, რომლებიც გაშუალებულია შემეცნებითი ფაქტორებით და გააჩნიათ შინაგანი სტრუქტურა. რაც უფრო ამაღლებულია გულისა და გონების ურთიერთჰარმონიულობა, მით უფრო სრულყოფილია ფსიქიკური პროცესები. სწორედ ამიტომაა ფსიქიკური პროცესების დონეები სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვა [9].

მეტი დამაჯერებლობის მისაღწევად მივმართოთ ფსიქოთერაპიის პედაგოგიკურ მეთოდებს.

**ფსიქოთერაპია** (< *ძვ. ბერძ. ψυχή* სული + *θεραπεία* საექიმო მოვლა, მკურნალობა) – ფსიქიკური ზემოქმედება

ადამიანზე (სიტყვით, ქცევით, საქციელით, მდგომარეობით, პირობებით, გარემოთი) მისი მკურნალობის, სოციალური გარემოცვისა და საკუთარი პიროვნებისადმი მისი მიმართების შეცვლის მიზნით. *ფსიქოთერაპიის* მეთოდები და საშუალებები თანდათანობით ერთვება პედაგოგიური მეთოდების არსენალში. ასეთი მეთოდი მრავალია. მათ შორის: 1. *არტთერაპია* (< *ინგლ.* art ხელოვნება + *therapia* მკურნალობა) – თერაპია ხელოვნების მეშვეობით; *არტთერაპია*, როგორც მეთოდი, ემყარება იმას, რომ ადამიანის შინაგან განცდებს, სიძნელეებს, კონფლიქტებს ხატოვან, სიმბოლურ დონეზე გააჩნიათ წარმომადგენლობითობა და შეუძლიათ მიიღონ გამოხატულება სახვით ხელოვნებაში: თავისუფალ თემაზე ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია; დავალებები ნებისმიერ თემებზე მასალის დამოუკიდებელი შერჩევით; ხელოვნების ქმნილებათა ანალიზი და ინტერპრეტაცია; ხელოვნების ქმნილებათა რეპროდუქცია; აღმზრდელისა და ბავშვის ერთობლივი შემოქმედება და სხვ. *არტთერაპია* არის კონფლიქტებისა და ძლიერი განცდებისაგან განთავისუფლების ხერხი, გრძნობებისადმი ყურადღების განვითარების, საკუთარი პიროვნული ფასეულობის შეგრძნებათა გაძლიერებისა და მხატვრული კომპეტენციის ამაღლების საუკეთესო საშუალება. 2. *აუტოგენური ვარჯიში* (< *ბერძ.* *αυτός* თვითონ + *γένος* წარმოშობა) – ფსიქიკური თვითრეგულაციის, თვითშთაგონების, ფსიქიკის თვითაწყობის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია *რელაქსაციის* პროცესის გამოყენებაზე. *აუტოგენური ვარჯიში* ხელს უწყობს ემოციების მართვას, ძალებისა და შრომისუნარიანობის აღდგენას, დაძაბულობის მოხსნას. დამუშავებულია გერმანელი ფსიქოთერაპევტის –

იოჰან შულცის მიერ 1932 წელს. ყოველი პედაგოგი უნდა დაეუფლოს *აუტოგენური ვარჯიშის* მეთოდიკას, რაც ამცირებს პედაგოგიური საქმიანობის სტრესოგენურობას. 3. **ბიბლიოთერაპია** (< ლათ. *biblio* წიგნი + *therapia* მკურნალობა) – წიგნების კითხვის საშუალებით ბავშვზე, მის გრძნობებზე ზემოქმედების მეთოდი. ლიტერატურული ნაწარმოებების გმირებთან ერთად ბავშვები განიცდიან გარკვეულ ემოციონალურ მდგომარეობებს, ხედავენ რთული სიტუაციებიდან გამოსვლის ხერხებს, რაც აფართოებს მათ სოციალურ კომპეტენციას, საშუალებას აძლევს მათ, წარმატებით დაეუფლონ საზოგადოებაში ცხოვრების ნორმებსა და წესებს. 4. **ჯგუფური ფსიქოთერაპია** – ჯგუფში პიროვნებათაშორისი ურთიერთქმედების კანონზომიერებათა გამოყენება ადამიანის მკურნალობის, მისი ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის მიღწევის მიზნით. ფსიქოთერაპიული ზემოქმედების ობიექტის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ: 1) *ოჯახურ ფსიქოთერაპიას*, რომელიც ითვალისწინებს ერთდროულ მუშაობას მშობლებთან, ბავშვებთან და ნათესავებთან; 2) *ჯგუფურ ფსიქოთერაპიას ერთობლივი საქმიანობის* პირობებში, სხვადასხვაგვარ ფსიქოპიგიურ კლუბებში; 3) *თამაშობით ფსიქოთერაპიას*. 5. **იმაგოთერაპია** (< ლათ. *Imago* სახე) – სხვადასხვანაირ თამაშობათა გამოყენება ბავშვის პიროვნების კორექციისა და მასთან სარეაბილიტაციო მუშაობის მიზნით. თამაშობები არსებობს *თავისუფალი* და *დირექტიული* (მართვადი). *თავისუფალი* თამაშობები, თავის მხრივ, რამდენიმე სახისაა: *რეგრესიული* (ბავშვი, უბრუნდება რა ქცევის ადრინდელ ფორმებს, იქცევა პატარად, თხოულობს ხელში აყვანას, დახობავს და სხვ.), *რეალისტუ-*

რი (ბავშვი თამაშობს იმას, რაც განისაზღვრება ობიექტური სიტუაციით, და არა მისი მოთხოვნილებებითა და სურვილებით), *აგრესიული* (ბავშვი თამაშობს ომობანას, წყალდიდობას, მკვლელობას, ძალადობას). არასტრუქტურირებული მასალა (წყალი, ქვიშა, სილა, თიხა, პლასტელინი და სხვ.), რომელიც გამოიყენება *დირექტიულ* თამაშობებში, ბავშვს საშუალებას აძლევს, ირიბად გამოხატოს თავისი სურვილები, ხელს უწყობს *სუბლიმაციის* განვითარებას. 6. *კათარზისი* (< *ინგლ. catharsis* < *ძვ. ბერძ. καθαρσις* გაწმენდა, ამაღლება, გაჯანსაღება < *καθαρσις* წმინდა) – ადამიანზე შესაბამისი განცდებისა და აფექტების გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორების განმწმენდი და გამაკეთილშობილებელი ზემოქმედების პროცესი და შედეგი. *კათარზისი* დაკავშირებულია სიამოვნების მიღებასთან. მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ტრავმისმომტანი ემოციებისაგან პიროვნების განთავისუფლების ფენომენზე – თხრობის, მოგონებების, ძლიერი ემოციური განმუხტვისა და მათგან განთავისუფლების გზით. მეთოდი შემოღებულია ავსტრიელი ფსიქიატრების – *ზიგმუნდ ფროიდისა* და *იოზეფ ბროიერის* მიერ. 7. *ლოგოთერაპია* (< *ბერძ. λόγος* სიტყვა, აზრი, მნიშვნელობა, ცნება, რიცხვი) – მიმართულება ფსიქოლოგიასა და მედიცინაში, რომელიც დამუშავებულია ავსტრიელი მეცნიერი *ფრანკლის* მიერ. *ლოგოთერაპია* ამოდის იქიდან, რომ ადამიანის ქცევასა და განვითარებაში ძირითადი მამოძრავებელი ძალაა მისი მისწრაფება თავისივე ცხოვრების აზრის ძიებისა და რეალიზაციისკენ. მიზნად ისახავს კლიენტებში იმის შესაძლებლობათა გაფართოებას, რომ დაინახონ ცხოვრებისეული აზრების სპექტრი, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს

ნებისმიერი სიტუაცია. იმ პრობლემების წარმოშობა, რომლებიც ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების აზრის გაუგებლობითა და გაურკვევლობითაა გამოწვეული, ბავშვობაშივე უნდა იქნეს თავიდან აცილებული ბავშვის ცხოვრებისეულ ფასეულობათა სისტემის, თვითაქტუალიზაციის სურვილის, სოციალური და პროფესიული ორიენტაციის ფორმირების გზით. 8. *მორიტა-თერაპია* (< იაპონელი ფსიქიატრი სემ მორიტა) – მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ბავშვები ჩაყენებულია ისეთ სიტუაციაში, რომელიც აიძულებს მათ, გარშემომყოფებზე მოახდინონ კარგი შთაბეჭდილება, რაც ხელს უწყობს კარგი ტონის წესების აღზრდას. შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც აღზრდის მეთოდი. 9. *ფსიქოდრამა* (< დვ. ბერძ. δράμα ქმედება) – ჯგუფური ფსიქოთერაპიის სახე. მონაცვლეობით მსახიობებისა და მაცურებლების როლში გამოსვლით პაციენტები ახდენენ ცხოვრებისეული სიტუაციების მოდელირებას, რაც მათ ეხმარება იმაში, რომ თავიდან აიცილონ არაადეკვატური ემოციონალური რეაქციები, უფრო ღრმად შეიცნონ საკუთარი თავი და მოაწესრიგონ ურთიერთმიმართებები გარშემომყოფებთან. *ფსიქოდრამის* ცნება და პროცედურა შემოიღო ამერიკელმა მორენომ. 10. *ცეკვის ფსიქოთერაპია* – ცეკვისა და საცეკვაო მოძრაობების გამოყენება დამაბულობისა და ემოციონალური მუხტის მოხსნისათვის; სხეულის პლასტიკით გამოიხატება პაციენტის მდგომარეობები, მსოფლშეგრძნებები და შინაგანი პრობლემები, რომლებიც პიროვნებას ათავისუფლებენ სიმძიმეებისაგან [9].

როგორც ჩანს, ფსიქოთერაპიის ყველა მეთოდი, რომლებიც ზემოთაა ჩამოთვლილი, აშკარად მეტყველებს იმა-

ზე, რომ ბავშვის ფსიქიკა მოითხოვს აღზრდასა და განვითარებას, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამასთან, ფსიქიკის აღზრდა ნიშნავს ბავშვის გულისა და ტვინის (გონების) ურთიერთჰარმონიულობის აღზრდას და ეს აღზრდა ზენარსამდე აღწევებულ ფაქიზ მიმართებას, სინატიფეს მოითხოვს. ფსიქიკის სწორი აღზრდა თავისთავად გამოიწვევს ყველა ფსიქიკური პროცესისა და მოვლენის მოწესრიგებას, ბავშვის ყველა თვისებისა და უნარის აღზრდასა და განვითარებას, მისი ქცევის დახვეწასა და გაკეთილშობილებას. გამოდის, ბავშვის ფსიქიკის აღზრდაში ფსიქოთერაპია სწორუპოვარია.

ახლა ჩამოვაყალიბოთ ფსიქიკის ცნების ახალი დეფინიცია, დამყარებული მყარ მეთოდოლოგიურ ბაზაზე:

**ფსიქიკა ეწოდება ადამიანის გულისა და ტვინის ურთიერთზემოქმედების ჰარმონიულობის ხარისხს.**

ამ ხარისხით სრულადაა განპირობებული ქცევა (და ყოველივე ფსიქიკური). ამ ურთიერთჰარმონიულობაში იბადება და ვითარდება ადამიანის ყველა თვისება, ყველა უნარი, ყველა ფსიქიკური პროცესი თუ მოვლენა, ცნობიერიცა და ქვეცნობიერიც.

ფსიქიკაში, ე. ი. გულისა და ტვინის (გონების) ურთიერთჰარმონიულობაში, არის ჩადებული ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული თვითცნობიერების გენეტიკური კოდი, ენობრივ-მენტალური კოდების სისტემა. როცა ამბობენ, მამის ხასიათი დაჰყვაო, ხასიათი კი არ დაჰყვა, არამედ ფსიქიკის მსგავსება დაჰყვა, ამ მსგავსებამ კი, შესაძლოა, თავი იჩინოს ხასიათში და ბევრგან სხვაგანაც: ფიქრებში, საქმეებში, ქცევებში, ცხოვრებისეულ პრინციპებში და ა. შ.

**გენი** (< ძვ. ბერძ. γένος გვარი; მოდგმა) – ცოცხალი ორგანიზმების მემკვიდრეობითობის სტრუქტურული და ფუნქციური ერთეულია, რომლის მემკვიდრეობითაც ხდება ინფორმაციის გადატანა ორგანიზმების ერთი თაობიდან მეორეში. და ეს გენი სწორედ გულისა და ტვინის (გონების) ურთიერთჰარმონიულობის ბუნაბაშია იმთავითვე განუყოფელ თვისებად ჩადებული და ამ ჰარმონიულობის ბუნება ძალიან ღრმაა, იდუმალეობით მოცული.

ფსიქიკა ექვემდებარება აღზრდას და ფსიქიკის აღზრდა ბავშვის პიროვნულ აღზრდას იწვევს. ეს კი – პედაგოგიკის მთავარი ამოცანაა. ფსიქიკა უნდა აღიზარდოს არა ქცევის მოთოკვით, არამედ გულისა და ტვინის ურთიერთჰარმონიულობაში სინათლის, სიყვარულისა და ფაქიზი დამოკიდებულების შეტანით.

როგორც ვხედავთ, ადამიანის ფსიქიკა ამოუხსნელი გამოცანა არ არის და იგი კვლევისათვის მისაწვდომია, საკვლევა გულისა და ტვინის ურთიერთჰარმონიულობის კანონზომიერებები, პირობები, ვითარებები, გარემოებები.

აქვე წყდება ტემპერამენტის საკითხიც.

**ტემპერამენტი** (< ლათ. *temperamentum* თანაზომადობა, ზომიერება) – პიროვნების იმ მდგრად ინდივიდუალურ თავისებურებათა კანონზომიერი თანაფარდობა, რომლებიც ახასიათებენ ფსიქიკური საქმიანობისა და ქცევის დინამიკის სხვადასხვა მხარეს. ტემპერამენტის თვისებებია ფსიქიკური პროცესების ინდივიდუალური ტემპი და რიტმი, ემოციების მდგრადობის ხარისხი, მოძრაობათა ექსპრესიულობა და ენერგიულობა, ნებისყოფის დამაბულობა და სხვ., რომლებიც ეხება ფსიქიკური საქმიანობის ყველა მხარეს.

თითოეული ადამიანი უნიკალურია. ამა თუ იმ საკითხისადმი მისი დამოკიდებულება, მისი ღირებულებები, ფასეულობები, თვისებები ყალიბდება როგორც ფიზიკურად, ბიოლოგიურად, ფიზიოლოგიურად, ანატომიურად, ისე გენეტიკურად განპირობებული ფაქტორებისა და განუმეორებელი სოციალური კონტაქტების გავლენით. ადამიანები ქცევის თავისებურებებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ზოგი მეტისმეტად ემოციურია, ფეთქებადი, იმპულსური, ენერგიული და მოუსვენარი, ზოგი – მშვიდია, დინჯი, გაწონასწორებული, ზოგს ყურადღების ცენტრში უყვარს ყოფნა, ზოგი კი განდევნილივით ცხოვრებას ამჯობინებს და ა. შ. ხასიათთა ასეთი მრავალფეროვნება იმით აიხსნება, რომ არსებობს ერთგვარი ბიოლოგიური ფუნდამენტი, ტემპერამენტად წოდებული, რომელზეც შენდება პიროვნება. ტემპერამენტი განიმარტება, როგორც ფსიქიკური წყობის იმ თავისებურებათა ნაკრები, რომლებიც გარესამყაროსთან ადამიანის ურთიერთობის პროცესში, მის ქცევაში იჩენს თავს. ეს არის გულისა და ტვინის ურთიერთპარამონულობის ბუნებაში არსებული გენეტიკურად განპირობებული თანდაყოლილი მემკვიდრეობითი ფსიქიკური თვისება, რომელსაც თავისი მახასიათებელი ნიშნები გააჩნია. იგი ფსიქიკის თავისებურებაა, რომელშიც ასახულია ქმედებების დინამიკა და რომელიც ვლინდება რეაქციის სისწრაფეში, ტემპში, რიტმში, ინტენსიურობაში და სხვ., ზრდისა და განვითარების პროცესში თვისებრივ ცვლილებას იშვიათად განიცდის, მხოლოდ და მხოლოდ მცირედად კორექტირებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

## ლიტერატურა

1. ნადეჟდა ბერულავა, ზოსიმე ხოჯავა, ფსიქოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი. ([https://www.me4u.biz/dictionary\\_of\\_psychological\\_terms.html](https://www.me4u.biz/dictionary_of_psychological_terms.html)).
2. ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. სამედიცინო ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი (<https://www.medgeo.net/2009/05/08/>).
3. სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი. ფსიქოლოგიური ენციკლოპედია. თბილისი, 2007.
4. მიხეილ ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, 1989.
5. <https://gesl.iliauni.edu.ge/ფსიქიკა/>
6. ჯემალ ჯინჯიხაძე. რა არის ინტუიცია? გაზეთი „სოხუმის უნივერსიტეტი“, სექტემბერი, 2010.
7. ჯემალ ჯინჯიხაძე. ადამიანის ორი სამყარო. თბილისი, 2013.
8. ჯემალ ჯინჯიხაძე. ფიქრები. თბილისი, 2016.
9. ჯემალ ჯინჯიხაძე. პედაგოგიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 2017.
10. Н. В. Беломестнова. Дефиниция психики как методологическая проблема. Санкт-Петербург, 2005 (<http://www.sudexp.org/publ/9-1-0-1859>).
11. А. С. Бергман. П. М. Ярошевский. Ф. И. Голдберг. А. В. Александров. Психика. Гуманитарная энциклопедия [Электронный ресурс] // Центр гуманитарных технологий, 2002–2018 (последняя редакция: 16.03.2018). URL-: <http://gtmarket.ru/concepts/7131>).
12. Л. М. Веккер. Психика и реальность: единая теория психических процессов. М., 1998.
13. Е. Ф. Губский, Г. В. Кораблева. Советский философский словарь. М., 2009.

14. А. Дугин. Философия политики: глоссарий терминов проекта Арктогея. М., 2004.
15. П. В. Кикель, Э. М. Сороко. Краткий энциклопедический словарь философских терминов. Минск, 2008.
16. В. Г. Кузнецова. Словарь философских терминов. М., 2005.
17. С. А. Лебедев. Философия науки: словарь основных терминов. М., 2006.
18. Е. Ю. Матвеева. Концепции современного естествознания. Словарь основных терминов. М., 2007.
19. Б. Г. Мещеряков, В. П. Зинченко. Большой психологический словарь. 3-е изд., М., 2002.
20. Г. Г. Мирошниченко. Краткий критериологический словарь. М., 2002.
21. Н. А. Некрасова, С. И. Некрасов, О. Г. Садикова. Тематический философский словарь. М., 2009.
22. Ж. Пиаже. Психология интеллекта. Питер, 2002.
23. Т. Б. Сергеева. Словарь-справочник по философии для студентов лечебного, педиатрического и стоматологического факультетов. Ставрополь, 2009.
24. Философия: энциклопедический словарь. Под ред. А. А. Ивина. М., 2004.
25. Философская энциклопедия в 5 томах. Под. Ред. Ф. В. Константинова. М., 1960-1970.
26. Философский энциклопедический словарь. Гл. ред.: Л. Ф. Ильичев, П. Н. Федосеев, С. М. Ковалев, В. Г. Панов. М., 1983.
27. <http://www.psychologies.ru/glossary/15/psihika/>
28. [https://en.wikipedia.org/wiki/Psyche\\_\(psychology\)](https://en.wikipedia.org/wiki/Psyche_(psychology))
29. <https://www.thefreedictionary.com/psyche>
30. <http://scibook.net/obschaya-filosofiya/167-psihika-27456.html>

**Джемал Джинджихадзе**  
**К вопросу о психике**

Резюме

В психологической и педагогико-методической литературе в целом, а в частности, в словарях и учебниках, имеем множество отдаленных друг от друга по содержанию и смыслу дефиниций понятия психики. На самом деле, это понятие для гуманитарных наук является фундаментальным обстрактным понятием и оно должно быть точно и однозначно определено. В мировой психологической литературе имеется обилие определений психики. Для одних авторов психика – это свойство материи, для других – свойство человека, для некоторых – умение, для многих – форма отражения, итог отражения, совокупность душевных переживаний, для многих – совокупность душевных явлений и процессов, форма жизнедеятельности живых существ, совершенная структура сущности человека, умение мозга, функция мозга и т. д. Все эти понятия являются совершенно разными, хотя связаны между собой. Поэтому приведенные «дефиниции» не могут точно определять психику. Следовательно, на данном этапе развития науки мы точную дефиницию психики не имеем.

В статье мы создаем соответствующую методологическую базу и вводим новую концепцию дефиницирования понятия психики, согласно которой: психикой называется степень гармоничности взаимодействия сердца и ума человека.

**Jemal Jinjikhadze**  
**For the Issues of Psyche Essence**

Summary

In psychologic and pedagogical-methodological literature great attention is drawn to the difference in definitions of the notion *Psyche*, their contextual inadequacy given in various dictionaries and textbooks. But this is a fundamental abstract notion and this notion undoubtedly should be clearly and accurately defined.

In the world psychologic literature there exists various definitions of the notion *Psyche*. For some authors *Psyche* is a feature of material, for some of them it is human feature, human ability, some of the authors think it is an ability to reflect, form of reflection, outcome of reflection, combination of spiritual perceptions, the whole inner world of human beings, combination of spiritual events and processes. For some of the authors *Psyche* is a result of life development, form of activity of living beings, subtle structure of human beings, brain ability, brain function, soul and even mind and etc. Feature, ability and all other above mentioned notions are quite different notions, they relatively differ from each other, but still are closely related to each other. But still, no one of them could be *Psyche*. Neither consciousness nor *Psyche* are the same. Therefore, we do not have the exact definition of *psyche*.

In this Article we are making an attempt to create appropriate methodologic basis and we introduce a new concept of definition of the notion *Psyche*. Pursuant to our definition: *Psyche* is a quality of of human heart and mind (brain) interaction.

## აზროვნება და ბრძოლა-ემოციები

როგორც ვიცით, ლოგიკური ოპერაციები აზროვნების სტრუქტურას განეკუთვნება, მაგრამ აზროვნება ყოველთვის არ არის ის პროცესი, რომელშიც მხოლოდ ლოგიკა და გონება მონაწილეობს. აზროვნების პროცესში ხშირად ერთვება ემოციები და ცვლის მას, ზოგჯერ – ძირეულადაც. აზრი ხშირად იცვლება სუბიექტური გრძნობის მიხედვით და ამის გამო შეიძლება ობიექტურობისგან შორსაც აღმოჩნდეს. ასე, რომ, ემოციონალური აზროვნება უფრო მეტად წინასწარ გათვლილ სასურველ შედეგზეა ორიენტირებული და არა ობიექტურ რეალობაზე, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ემოციები სტიმულს აძლევენ აზროვნებას და აზროვნება ხდება უფრო მიზანმიმართული, მოქნილი, მკაფიო, ლაღი, ამაღლებული. აზროვნების პროცესში ემოციები განსაკუთრებით მაშინაა მკაფიოდ გამოხატული, როცა წარმოებს პრობლემის გადაჭრის ხერხების ძიება და ხდება სასურველი შედეგის მიგნება. ასეთ შემთხვევაში ისინი ევრისტიკულ და რეგულატორულ ფუნქციებს ასრულებენ.

ემოციების *ევრისტიკული ფუნქცია* მდგომარეობს გამოყოფაში იმ ოპტიმალური ზონისა, რომლის ფარგლებშიცაა მოსაწინააღმდეგებელი პრობლემის გადაჭრა, ხოლო ემოციების *რეგულატორული ფუნქცია* მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ მოახდინონ პრობლემის გადაჭრის ძიების აქტივიზირება მაშინ, როცა ეს ძიება სწორი მიმართულებით წარმოებს და შეანელონ იგი მაშინ, როცა ინტუიცია კარნახობს, რომ პრობლემის გადაჭრის ძიების მიმართულება შერჩეულია არასწორად.

ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემის ამოხსნის პოვნა ან მასთან მიახლოება მოსწავლის ემოციონალურ ამაღლებას იწვევს.

ეს იმას ნიშნავს, რომ გრძნობა-ემოციები აზროვნების შინაგანი თვისებაა, მას აზროვნება თვითონ წარმოშობს და იგი ნებისმიერ აზროვნებით პროცესს მისი განვითარების ყველა ეტაპზე ახლავს, მეტ-ნაკლები გამოხატულებით. არ არსებობს გრძნობა-ემოციები აზროვნების გარეშე და პირუკუ, არ არის აზროვნება გრძნობა-ემოციების გარეშე. უფრო ზუსტად, გრძნობა-ემოციები მდგომარეობს აზროვნებაში, მის რეალურ სუბიექტურობა-ობიექტურობაში.

ამის გამო, აქ აუცილებლადაა განსახილავი ერთი, ჩვენის აზრით, უმნიშვნელოვანესი საკითხი: უნდა გავცეთ პასუხი კითხვას: *რა არის ობიექტური რეალობა?*

– მხოლოდ გარესამყარო? – არამც და არამც!

ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, უპირველესად უნდა გავარკვიოთ: რა არის, რომელია ჩვენი ცნობიერების **რეალური სარბიელი**, ე. ი. უნდა დავადგინოთ ჩვენი მშობლიური ენისა და ჩვენი აზროვნების ობიექტური ფარგლები. აზროვნება ხომ არსებობს და ვითარდება მხოლოდ ენის ფარგლებში.

მაშასადამე, ისმის კითხვა: რა არის ჩვენი ცნობიერების **უნივერსუმი**?

– აი, რა:

1. *გარესამყარო,*
2. *მხატვრულ-ლიტერატურული სახეები,*
3. *რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები,*
4. *აბსტრაქცია.*

ცნობიერების ამ ოთხივე უბანზე წარმოდგენები ერთნაირი უფლებისანი არიან, თუმცა, დონეებია სხვადასხვა, და ჩვენი აზროვნება ოთხივეს მოიცავს. ოთხივე ერთად განაპირობებს ნებისმიერ შემეცნებით პროცესს. ამასთან, აზროვნება მათ მიღმა არ არსებობს. როგორც ჩანს, ეს უნივერსული იწყება გარესამყაროთი, თავდება აბსტრაქციით. დანარჩენი ორი მათ შორისაა. *გარესამყარო* – ვიცით, რომ ობიექტური რეალობაა; ვნახოთ, რა არის *აბსტრაქცია!* აბსტრაქცია რომ არსებობს, ამაში ეჭვი არ გვეპარება. აბსტრაქცია არსებობს ჩვენს გონებაში, ტვინში, და ეს უტყუარია. აბსტრაქცია რომ სუბიექტური იყოს, მაშინ ყოველ ადამიანს თავისი მათემატიკა ექნებოდა. *მართკუთხედი* ყველა ადამიანისათვის მართკუთხედია, ე. ი. მათემატიკური ცნებები ობიექტური რეალობაა, რომელიც აბსტრაქციაში არსებობს, აბსტრაქცია კი ობიექტური რეალობაა ჩვენს აზროვნებაში. ყოველი ადამიანისათვის აბსტრაქცია სუბიექტურია აბსტრაქციისავე წიაღში, თავისი სპეციფიკით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ადამიანი ერთნაირად იაზროვნებდა.

მაშასადამე, *ობიექტური რეალობა* შედგება ოთხი უკიდევანო არეალისგან: *გარესამყარო, მხატვრულ-ლიტერატურული სახეები, რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები, აბსტრაქცია*. გრძნობა-ემოციები ოთხივეს ახლავს თავისებურად და თავისი სპეციფიკური გამოვლინებით.

ამგვარად, საგანი *ობიექტური რეალობაა*, თუ იგი არსებობს: ან *გარესამყაროში*, ან *მხატვრულ-ლიტერატურულ სახეებში*, ან *რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებში*, ან *აბსტრაქციაში*.

მაგალითად: *მთვარე* კონკრეტულია, *კვადრატი* აბსტრაქტულია და ორივე რეალურია, ობიექტურად არსებული რეალობა: ერთი – გარესამყაროში, მეორე – აბსტრაქციაში. *დემეტრე თავდადებული* კონკრეტულია, *სპირიდონ მცირი-შვილი*, ან *ოტელო* ლიტერატურული პერსონაჟებია და ყველა ობიექტურად არსებული რეალობაა, პირველი – გარესამყაროში, მეორე და მესამე – მხატვრულ-ლიტერატურულ სახეებში. *ოტელო*, ეს საოცარი მავრი, არასოდეს არ არსებულა, იგი შექსპირის მოგონილია, მაგრამ ჩვენ მის შესახებ ყველაფერი ვიცით, ისიც კი ვიცით, მის ცოლს რა ერქვა – დეზდემონა. ამავდროულად: მართლა არსებული, მაგრამ აწ გარდასული მრავალი პიროვნების შესახებ არაფერი არ ვიცით, ისტორიამ არაფერი არ შემოგვინახა. უფრო მეტიც: დიდი ხანი არ არის, გარკვეულ წრეებში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ძველბერძენი ფილოსოფოსები მოგონილი პირებია და სხვ.

ნუ გავაიგივებთ ობიექტურ რეალობასა და გარესამყაროს! ობიექტური რეალობა უფრო ფართო ცნებაა.

ღმერთმა ადამიანს მიანიჭა შემეცნების უნარი და მისცა ამ შემეცნების ბუნებრივი საშუალებებიც. ადამიანმა კი თავისთვის შემეცნების უამრავი სხვა (წარმოებული თუ ხელოვნური) საშუალებაც შექმნა. გარესამყაროს ობიექტების შემეცნების ბუნებრივი საშუალებებია (ერთმანეთთან ჰარმონიულობაში): *მხედველობა*, *სმენა*, *შეხება*, *ყნოსვა*, *გემო*, *გული*, *ინტუიცია* და *გონება*. ყველა დანარჩენი არეალის ობიექტების შემეცნების ბუნებრივი საშუალებებია *გული*, *ინტუიცია* და *გონება* (ერთმანეთთან ჰარმონიულობაში).

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხსაც.

გრძნობა-ემოციებს ადამიანის ცხოვრებაში, მათი გამოვლინების ხარისხის შესაბამისად, სხვადასხვა როლის შესრულება შეუძლიათ, ზოგჯერ ეს როლები შესაძლოა ერთმანეთის საპირისპიროც იყოს:

**შემოქმედებითი აზროვნების შემთხვევაში** დადებითი გრძნობა-ემოციები წინა პლანზე იწევს. მათ ძალუძთ გაანათონ, გაასხივოსნონ, გააკეთილშობილონ მოაზროვნის გონება, იქცნენ ზეშთაგონების ღვთაებრივ წყაროდ და ამ მოაზროვნე პიროვნებამ, მოსწავლე იქნება იგი, მასწავლებელი თუ სხვა ნებისმიერი, შეიძლება შექმნას რაღაც დიდებული და ამაღლებული.

**კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში** წინა პლანზე შესაძლოა უარყოფითმა ემოციებმა წამოიწიონ და, თუ ისინი აგრესიულობის თუნდაც ძალიან მცირე ხარისხით ხასიათდებიან, ძალუძთ დაბინდონ, დააბნელონ, გზას ააცდინონ, გააუკუღმართონ მოაზროვნის გონება და ამ მოაზროვნე პიროვნებამ, მოსწავლე იქნება იგი, მასწავლებელი თუ სხვა ნებისმიერი, თუ იგი უარყოფით ემოციებს აჰყვას, შეიძლება საბედისწერო შეცდომაც კი დაუშვას. ამიტომ კრიტიკული აზროვნება ყოველთვის უმჯობესია გრძნობა-ემოციების გარეშე, ცივი გონებით, დამშვიდებულ გულზე.

მაშასადამე, გრძნობა-ემოციებს კარგის მოტანაც შეუძლიათ და ცუდისაც. ამიტომ სწავლების პროცესში მათ გამოყენებას სიფრთხილე სჭირდება, მათი გამოყენებისადმი შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო.

ჩვენში დღემდე ემოციები სასწავლო მასალის ათვისებასთან შეუთავსებლად ითვლებოდა. ეს იდეა ძველი ფილოსოფიისა და მეცნიერული ტრადიციების ნაკარნახევია. თუმცა, საბჭოთა იდეოლოგიითაც იყო განპირობებული. სინამდვილეში ცოდნის შეთვისების პროცესი და გრძნობა-ემოციები დინამიკურადაა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებული.

ადამიანი ბავშვობიდანვე განიცდის გარესამყაროს, შემდგომ – სხვა რეალობასაც, სუბიექტურ და ობიექტურ სინამდვილეს, და ეს განცდა შემეცნებაში აისახება; ადამიანი განცდისას შეიმეცნებს, ე. ი. გარკვეული გაგებით განცდა თვითონაა შემეცნება. ამ შემეცნებისას ადამიანი აქტიურია და ეს აქტიურობა ხორციელდება ნებელობითი პროცესების მეშვეობით. მაშასადამე, განცდები მოიცავს შემეცნების, გრძნობა-ემოციებისა და ნებელობის პროცესებს. აქედან სრულიად აშკარაა, თუ როგორი ორგანიზაცია გააჩნია მოსწავლის სასწავლო შემეცნების რთულ (შესაძლოა, – ურთულეს) სტრუქტურას.

ამგვარად, გრძნობა-ემოციები სწავლებისა და სწავლის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. სხვა სიტყვებით, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენა, ეფექტური სწავლება და სწავლა შეუძლებელია გრძნობა-ემოციების მაღლის გარეშე.

მაგრამ პრინციპულად ჩნდება კითხვები: მოსწავლის აზროვნების განვითარებაში სად უნდა მოექმნოს ადგილი გრძნობა-ემოციებს? როგორი უნდა იყოს მათი შეხამება პედაგოგიურ პროცესებთან? როგორია ლოგიკისა და გრძნობა-ემოციების ოპტიმალური ურთიერთმიმართება? და სხვ.

ამ ფონზე აუცილებელია, განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანის შინაგანი სამყარო, რომლის შესახებაც ჩვენ, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული შეხედულება გვაქვს. როგორია მისი სტრუქტურა?

ჩვენის აზრით, ამ კითხვებზე პასუხს სულ რამდენიმე ცნების ლოგიკურ სტრუქტურაში და მათ შორის ურთიერთმიმართებებში გარკვევა მოგვცემს.

ეს ცნებებია:

**ადამიანის ორი სამყარო** – დიდი სამყარო – *გული*, მცირე სამყარო – *ტვინი* (გონება). ამ ორი სამყაროს ერთიანობა ქმნის ადამიანის მთელ შინაგან სამყაროს [2].

**გული** – ადამიანის დიდი სამყარო, რომელსაც *მინიჭებული აქვს* ბუნებრივი უნარი: იმედის, რწმენისა და სიყვარულის (ყველა სხვა ზნეობრივი ფასეულობა მათ საფუძველზე აღმოცენდება), *დაკისრებული აქვს* მიწიერი ფუნქცია: უზრუნველყოს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევა; ეს კი, თავის მხრივ, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას [4].

**ტვინი** – ადამიანის მცირე სამყარო, რომელსაც *მინიჭებული აქვს* ბუნებრივი უნარი: მსჯელობის, მტკიცებისაკენ სწრაფვისა და ეჭვების. *დაკისრებული აქვს* მიწიერი ფუნქცია: მასში არსებული ასი მილიარდი ნეირონით არეგულიროს ადამიანის ორგანიზმისა და ცნობიერების ნებისმიერი რეაქცია გარესამყაროსადმი [4].

**ფსიქიკა** – ეს არის ადამიანის გონებისა და გულის ურთიერთჰარმონიულობის ხარისხი (რანგი). და სწორედ ეს რანგი განაპირობებს ქცევას [4].

**ინტუიცია** (< *ლათ. intuitio* ჭვრეტა < *intueor* დაჟინებით ვუყურებ) – 1. მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა, უშუალო, სტიქიური გრძნობა, გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი, რომელიც ემყარება ადრინდელ გამოცდილებას; ალლო. 2. აზროვნებითი პროცესი, რომელიც მდგომარეობს სინამდვილის უშუალო წვდომაში, ამოცანის ამოხსნის პრაქტიკულად მომენტალურ მონახვაში, ლოგიკური კავშირების არასაკმარისი გაცნობიერებისას. *ინტუიცია* ემყარება ქვეცნობიერს, წარმოსახვას, ემპათიას, გონების გამჭრიახობას, ალლოს. ინტუიციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობისათვის, როცა აუცილებელია ახალი ცოდნის აღმოჩენა ან ადრე შეძენილის გამოყენება რეალობის გარდაქმნის ან სრულყოფის მიზნით. პრობლემის გადაჭრის პროცესში ადამიანის ინტელექტი და მისი *ინტუიცია* ერთიანობას ქმნიან. ისე, რომ, ინტუიციურისა და ლოგიკურის ურთიერთდაპირისპირება მთლად კორექტული ვერ არის. *ინტუიცია* ადამიანის გულისა და გონების ურთიერთჰარმონიულობის ხარისხითაა განპირობებული, იგი ამ ჰარმონიულობაში აღმოცენდება. რაც უფრო ურთიერთჰარმონიულია ადამიანის გული და გონება, მით უფრო განვითარებულია მისი *ინტუიცია* [4].

მაშასადამე, **ინტუიცია** არის ადამიანის ქვეცნობიერი უნარი, რომელსაც წარმოქმნის მისი გულისა და გონების ჰარმონიულობა. ამიტომაც ურთიერთკავშირში ადამიანის *ფსიქიკა* და *ინტუიცია*.

როგორც ვიცით, შემეცნების სახეებია: *გრძნობითი, რაციონალური* და *ინტუიციური*.

გრძნობითი შემეცნების პროცესში დომინანტია ადამიანის დიდი სამყარო – გული;


რაციონალური შემეცნების პროცესში დომინანტია ადამიანის მცირე სამყარო – გონება;

ინტუიციური შემეცნების პროცესში თანაბრადლომინანტურია ადამიანის ორივე სამყარო – დიდი და მცირე.

ეს ყოველივე – ძალიან კარგი, მაგრამ ყურადღების მიღმა დაგვჩა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ, რაც ღვთაებრივი სიდიადით დომინირებს ყველა სამყაროულ მოვლენასა და საგანში, ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მის არსებაში. ეს – **ოქროს კვეთა** გახლავთ.

ხეოპსის პირამიდის, ტაძრების, ბარელიეფების, საყოფაცხოვრებო საგნებისა და ტუტანჰამონის სამაროვნიდან მოპოვებული სამკაულების პროპორციები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ უძველესი ეგვიპტელები სარგებლობდნენ ოქროს კვეთით. ოქროს კვეთის სიდიადე აზევებს კაცობრიობის მიერ მთელი მისი არსებობის მანძილზე შექმნილ შედეგებს.

მეტ კონკრეტულობაში დაინტერესებული მკითხველისათვის აღვნიშნავთ, რომ *ოქროს კვეთა* მათემატიკური ტერმინია. ამბობენ, რომ (ნახ. 4) *C* წერტილი *AB* მონაკვეთს *ოქროს კვეთის* პროპორციით ყოფს, ან, სხვა სიტყვებით, *AB* მონაკვეთის *ოქროს კვეთას* ახდენს, თუ



ნახ. 4

$$AC : AB = BC : AC.$$

ამგვარად, *ოქროს კვეთა* არის მონაკვეთის ისეთი გაყოფა ორ ნაწილად, სადაც მონაკვეთის მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდ ნაწილს, როგორც დიდი ნაწილი შეეფარდება მთელ მონაკვეთს. გეომეტრიაში *ოქროს კვეთას საშუალო და კიდურა შეფარდებით გაყოფასაც* უწოდებენ.

ეს – რაოდენობრივ ჭრილში, მათემატიკაში. მაგრამ იგი იმდენად მშვენიერებამოსილი აღმოჩნდა, რომ გამოვიდა მათემატიკიდან და მთელი თავისი სიდიადით გადავიდა როგორც ვიზუალური, ისე აუდიალური და აბსტრაქტული აღქმის ხარისხობრივ სფეროში: აღმოჩნდა, რომ, თუ მთელის ნაწილების თანაფარდობა *ოქროს კვეთას* უახლოვდება, მაშინ საოცრად აღზევებული მშვენიერება ისადგურებს შემეცნებით პროცესებში.

*ოქროს კვეთა* პირველად ევკლიდეს „საწყისებში“ გვხვდება. ევკლიდე მას იყენებს ხუთკუთხედისა და ათკუთხედის აგებისას. მაგრამ უდავოა, რომ *ოქროს კვეთას* იცნობდნენ პითაგორელები. ევკლიდეს შემდეგ *ოქროს კვეთას* იკვლევდნენ *ჰიფსიკლე* და *პაპე ალექსანდრიელი*.

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში გაძლიერდა ინტერესი *ოქროს კვეთის*ადმი. მისი გამოყენება ინტენსიური გახდა როგორც გეომეტრიაში, ისე ხელოვნებაში, განსაკუთრებით არქიტექტურაში. *ლუკა პაჩოლიმ* (პაჩიოლომ) მას ტრაქტატი მიუძღვნა და „*ღვთაებრივი პროპორცია*“ უწოდა. ტერმინი „*ოქროს კვეთა*“ *ლეონარდო და ვინჩიმ* შემოიღო. *ოქროს კვეთა* შეიჭრა ფერწერაში, მუსიკაში, პოეზიაში და დაიმკვიდრა საოცრად აღზევებული მდგომარეობა.

*ოქროს კვეთა აბსოლუტური ღვთაებრივი ჰარმონიაა.*

სწორედ ეს ღვთაებრივი ჰარმონია აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანის დიდ და მცირე სამყაროებს. თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, ადამიანის დიდი სამყარო, მცირე სამყარო და ინტუიცია წყვილ-წყვილად ოქროს კვეთის პროპორციაში იმყოფებიან. როგორც კი ეს ჰარმონია ირღვევა, ადამიანი უკვე ვერ აზროვნებს სწორად, ვერც გული კარნახობს სასიკეთოს. მათ ჰარმონიულობაში კი ფრთებს ისხამს **სინერგია** – ადამიანური და ღვთაებრივი ნების გაერთიანება, რომლის დროსაც ჭეშმარიტი სიბრძნის მაღლი ზევდება და სწავლებაც ღვთაებრივ დონეზე მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გენიალურად თქვა *შოთა რუსთაველმა*:

***„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდებიან;  
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;  
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.***

რუსთაველმა, როგორც ჩანს, ერთმანეთისგან განაცალკევა *გული, ცნობა* და *გონება*. მაგრამ დიალექტიკურ ერთმთლიანობაში მოაქცია სამივე და ამ განცალკევებაში *ცნობა* შუალედურია, იგი იბადება *გულისა* და *გონების* ურთიერთჰარმონიულობაში. მე მგონი, „ცნობა“-ში რუსთაველი სწორედ *ინტუიციას* გულისხმობს.

რუსთაველის აზრებში ცხადად ჩანს ფრიად ამაღლებული პედაგოგიური ალღო.

ეს – მეთორმეტე საუკუნის სწორუპოვარი მოღვაწის უდავო გენიალურობაა.

ჩვენ კი მეოცე საუკუნის პედაგოგიკაში უგულვებელ-  
ვყავით *გული*, უარვყავით იგი და სულიერებისგან დაც-  
ლილ *გონებრივ აღზრდას* მივანიჭეთ დომინანტობა. მოს-  
წავლეს რომ გაკვეთილზე გაეცინა, მასწავლებელი მას გაკ-  
ვეთილიდან გააგდებდა, რას ხედავ სასაცილოსო, ეტყოდა.  
სწავლებაში სრულიად განვერიდეთ გრძნობებს, განცდებს,  
ემოციებსა და იუმორს.

დღეს, თითქოს დავიწყეთ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, სა-  
მწუხაროდ, არასწორად, ცალკე, იზოლირებულად, „ემოცი-  
ური აღზრდის“ სახით. აღზრდის დიდაქტიკურ პრინციპებ-  
ში ცალკე გამოვყავით იგი ერთ დიდაქტიკურ პრინციპად,  
მაშინ, როდესაც ემოციურობით გამსჭვალული უნდა იყოს  
ყველა დიდაქტიკური პრინციპი.

ეს საკითხი, ვგონებ, იმსახურებს ყურადღებას!

### ლიტერატურა

1. ჯემალ ჯინჯიხაძე. რა არის ინტუიცია? გაზეთი „სო-  
ხუმის უნივერსიტეტი“, სექტემბერი, 2010.
2. ჯემალ ჯინჯიხაძე. ადამიანის ორი სამყარო. თბი-  
ლისი, 2013.
3. ჯემალ ჯინჯიხაძე. ფიქრები. თბილისი, 2016.
4. ჯემალ ჯინჯიხაძე. პედაგოგიკურ ტერმინთა განმა-  
რტებითი ლექსიკონი. თბილისი, 2017.

**Джемал Джинджихадзе**  
**Мышление и эмоций**

Резюме

Логические операции принадлежат структуре мышления, но мышление не всегда является тем процессом, в котором участвуют только логика и разум. В мыслительный процесс часто включаются эмоций и меняют его, иногда даже коренно. Эмоциональное мышление чаще всего рассчитано на желательные результаты, а не на объективную реальность, хотя часто эмоций стимулируют мышление и мышление становится более целеустремленным, гибким, возвышенным. В мыслительном процессе эмоций ярко выражены особенно тогда, когда происходит поиск путей решения проблемы. Эмоций являются внутренними свойствами мышления и присущи процессу любого мышления на всех этапах его развития. Не существуют эмоций вне мышления и нет мышления вне эмоций. В этих связях в статье изучены и исследованы понятия: *составляющие внутреннего мира человека, сердце, мозг и интуиция.*


**Jemal Jinjikhadze**  
**Thinking and emotions**

Summary


Logic operations belong to the structure of thinking, but thinking is not always the process, where only the logics and mind are participating. In the process of thinking emotions are often emitting and change them, sometimes even fundamentally. Emotional thinking is more oriented to the desired outcome and not on objective reality, but often emotions give way to thinking and thinking becomes more purposeful, flexible, clear, delightful, and exalted. In the process of thinking emotions are clearly expressed, when you are looking for the ways of problem solving and finding the desired results. Sense-emotions are the inner aspect of thinking, thinking itself generates it and it exists and accompanies every stage of development of thinking process. There are no sense-emotions without thinking and vice versa, there is no way of thinking without emotions. More precisely, sense-emotions are in thinking, its essence of real subjectivity-objectivity. These ties and links are studied and analyzed in the above article: about the inner human world, heart, brain and intuition.

## ცხოვრების ფსიქოლოგია

- სამი რამ არასდროს ბრუნდება უკან:
  - დრო, სიტყვა, შესაძლებლობა.
- სამი რამ არ უნდა დაკარგო:
  - სიმშვიდე, იმედი, ღირსება.
- სამი რამ ცხოვრებაში ყველაზე უფრო ფასეულია:
  - სიყვარული, ნდობა, მეგობრობა.
- სამი რამ გამოავლენს ადამიანს:
  - შრომა, პატიოსნება, მიღწევები.



- ყველაზე დიდი დაბრკოლება – შიში.
- ყველაზე დიდი შეცდომა – სულით დაცემა.
- ყველაზე საშიში ადამიანი – ცრუ.
- ყველაზე ვერაგი გრძნობა – შური.
- ყველაზე უკეთესი საქციელი – მიტევება.
- ყველაზე უკეთესი დაცვა – ღიმილი.
- ყველაზე მძლავრი ძალა – რწმენა.
- ყველაზე უკეთესი საყრდენი – იმედი.
- ყველაზე უკეთესი საჩუქარი – სიყვარული.



### გარსია მარკესი:

- არცერთი ადამიანი არ იმსახურებს შენს ცრემლებს, ხოლო ის, ვინც იმსახურებს, შენ არასოდეს არ აგატირებს.

- ნამდვილი მეგობარი ის არის, რომელსაც უჭირავს შენი ხელი და გრძნობს შენს გულს.
- შეიძლება ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანი ხარ, მაგრამ ვიღაცისთვის მთელი სამყარო იყო.

#### **უილიამ შექსპირი:**

- უფრო ღირსეული იქნებოდი, ვიდრე ხარ, შენს ღირსებას ასე ხშირად რომ არ ახსენებდე.
- ჭეშმარიტ სიყვარულს არ შეუძლია ლაპარაკი, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული მჟღავნდება ქცევით და არა სიტყვით.

#### **პიერ ბუასტი:**

- ეძებეთ ისეთი ადამიანები, ვისთანაც საუბარი კარგი წიგნის ტოლფასია და ეძებეთ წიგნები, რომელთა წაკითხვა უტოლდებოდეს ბრძენთან საუბარს.

#### **კარლოს კასტანედა:**

- ნებისყოფა ისაა, რაც გაიძულებს, გაიმარჯვო მაშინაც კი, როდესაც შენი გონება გეუბნება, რომ განადგურებული ხარ.

#### **ზიგმუნდ ფროიდი:**

- თუ ადამიანი ცხოვრების აზრით ან მისი ფასეულობით ინტერესდება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ავადაა.

#### **ბენჯამინ ფრანკლინი:**

- თუ საკუთარი თავის მართვას არ ისწავლი, სხვები გმართავენ.

#### **ლუციუს სენეკა:**

- ყველაზე ძლიერი ის არის, ვინც საკუთარი თავის მფლობელია.

### **ალბერტ აინშტაინი:**

- გენიალური ადამიანები იშვიათად არიან მოწესრიგებულნი, მოწესრიგებულთა შორის კი იშვიათია გენიალური.
- თუ მოუწესრიგებელი საწერი მაგიდა მოუწესრიგებელ სულს გამოხატავს, მაშინ რას ამბობს ცარიელი მაგიდა მის პატრონზე?
- ბევრი ემდურის საკუთარ გარეგნობას, მაგრამ არავინ საკუთარ ინტელექტს ან ტვინს.

### **ბუდა გაუტამა:**

- საკუთარი თავისა და სურვილების დაძლევა ომში გამარჯვებაზე უფრო დიდი გამარჯვებაა.

### **ედუარდო ვეისი:**

- ბედნიერია, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ის, რაც სურს; უფრო ბედნიერია ის, ვისაც ის სურს, რაც მისთვის ხელმისაწვდომია.

### **პეტრე პირველი:**

- არანაირი მოვალეობა არ გამაჩნდეს – აი, ეს არის უბედურება.

### **ჰიპოკრატე:**

- შეუძლებელია დაეხმარო იმას, ვისაც არ უნდა თავისი ცხოვრების შეცვლა.

### **ფრანც შუბერტი:**

- თუ გინდა გაიხარო წამიერად – შური იძიე, თუ გინდა იხარო მთელი ცხოვრება – აპატიე.

